ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 2018 | №239 (7784) | ფასი: 60 თეთრი

## სოსო ბარათაშვილი: „პაატა ბურჭულაძის მეუღლეზე საქმე არის შეკერილი“

პროკურორი გულუაშვილი: „ამომწურავი პასუხები ვერ მივიღეთ“

გვ.7






გვ.7

## ვახტანგ ბუცხრიკიძე: „როგორ გაიტანეს თიბისი ბანკიდან 4 მილიონი ლარი“

# „ზურაბიშვილის რეიტინგი „ოცნების“ რეიტინგს ჯურღმულში ჩაიყოლებს“



გვ.4

ხათუნა ლაგაზიძე: „მეორე ტური გარდაუვალია“



გვ.3

## მალხაზ მაჩალიკაშვილი: „ჩემი შვილი იმიტომ მოკლეს, რომ სკანდალური ინფორმაცია გაიგო“

„პატრიარქს მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა მივაწოდო“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## გაგი მოსიაშვილი: „ბრალდებები ოთარ ფარცხალაძის წინააღმდეგ აბსურდულია“



გვ.2

## რამაზ საყვარელიძე: „ჩანაწერები არჩევნების შედეგზე რაღაც გავლენას იქონიებს“



გვ.5

## ქართლის ქარის ელექტროსადგურმა 2018 წლის 5 ოქტომბერს 504000 კილოვატსაათი გამოიმუშავა. ანუ 24 საათის განმავლობაში იმუშავა პიკურ რეჟიმში







კახი კალაძე



არჩილ ზედგენიძე



მიშა ჩაჩხუნაშვილი



გურამ ქუთელია



ბადრი ჩხაიძე



გია ცუცხვაშვილი



სიმონ ბარამიძე



იაშა ხარაიშვილი



თამარ აიწურაძე მატის სენიჩარი დიმიტრი ოცხელი

# გ ი ლ ო ც ა ვ თ!

| 2018.10.05 | საათი | 00:00 01:00 | 01:00 02:00 | 02:00 03:00 | 03:00 04:00 | 04:00 05:00 | 05:00 06:00 | 06:00 07:00 | 07:00 08:00 | 08:00 09:00 | 09:00 10:00 | 10:00 11:00 | 11:00 12:00 | 12:00 13:00 | 13:00 14:00 | 14:00 15:00 | 15:00 16:00 | 16:00 17:00 | 17:00 18:00 | 18:00 19:00 | 19:00 20:00 | 20:00 21:00 | 21:00 22:00 | 22:00 23:00 | 23:00 24:00 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქარის სიჩქარის განზომილება | მ/წმ-ში | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ქარის სიჩქარე | | 16 | | | 16 | | | 19 | | | 19 | | | 20 | | | 20 | | | 19 | | | 17 | | 16 |
| ფაქტი | მგვტ.სთ | მგვტ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ქარის გამომუშავება | 504 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 | 21 |

შენიშვნა: ქარის სიჩქარის მონაცემები კონკრეტული საიტიდანაა აღებული.

არ ვიცი, როდის განმეორდება ასეთი რამ, მე კი ძალიან გამიხარდა. ასევე იხილე 2016 წლის 5 ოქტომბრის გაზეთი "ახალი თაობა". „ფეხბედნიერი ყოფილიყავ „ბუმბერაზო“ ქარის გენერატორო საქართველოსთვის".

„ჩემო კარგო ქვეყანავ" – კეთილი სურვილებით *სიმონ ბარამიძე*. 551513372

# გაგი მოსიაშვილი: „ბრალდებები ოთარ ფარცხალაძის წინააღმდეგ აბსურდულია“

ნონა ცაბაძე



ყოფილი გენერალური პროკურორი ოთარ ფარცხალაძე კულისებიდან გამოდის. საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, ბოლო პერიოდში მის სახელს და გვარს არაერთი გახმაურებული საქმე დაუკავშირდა. „ომეგა ჯგუფის“ საქმეზე ატეხილი აჟიოტაჟი დღემდე აქტიურ ფაზაშია.

ფარცხალაძის ადვოკატი გაგი მოსიაშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს. მასში ნათქვამია:

„სურთ, რომ ცრუ ინფორმაციები წარმოაჩინონ როგორც დამტკიცებული ფაქტი და, შესაბამისად, საზოგადოებას მიაწოდონ არარეალური ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის მიზანი ბატონი ოთარ ფარცხალაძის დისკრედიტაცია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა.

სიცრუეზე აგებულმა პიარკამპანიამ ბოლო პერიოდში სისტემატიური და ორგანიზებული სახე მიიღო. ყველაფერი ის, რაც ბოლო პერიოდში მოისმინა საზოგადოებამ, ფარსი და სპექტაკლი რომ გახლავთ, ეს დადასტურდა კიდევაც როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ ჩატარებული საექსპერტო კვლევებით, რომლებმაც ნათლად და მკაფიოდ გასცეს პასუხი გავრცელებულ აუდიო ჩანაწერებს. თუმცა, წინამდებარე განცხადებით, ბატონ ოთარ ფარცხალაძეს სურს საზოგადოების წინაშე დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია.

კერძოდ, ის ემიჯნება მიმდინარე მოვლენებს, მას არანაირი შეხების წერტილი არ ჰქონია ბატონ ოქუაშვილის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციასთან და, შესაბამისად, ის მზად არის უპასუხოს ყველა იმ კითხვას, რომელიც მის მიმართ შეიძლება არსებობდეს, მათ შორის მის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელსაც ლეგალურად აწარმოებს და საზოგადოებისთვის რაიმე დასამალი არ აქვს. ყოველივე ზემოთქმულის ნათელი დადასტურებაა ერთ-ერთი ტელეკომპანიის 6 ოქტომბრის გადაცემაში გასული ინფორმაცია ოთარ ფარცხალაძის საცხოვრებელი სახლის შესახებ, რომელშიც აშკარად იკვეთება ფაქტების მიზანმიმართული და განზრახ დამახინჯებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა.

ცხადია, რომ ეს გადაცემაც მათ შორის არის ერთიანი, ორკესტრირებული პიარკამპანიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სიცრუის უტიფარი ტირაჟირებით მიზნად ისახავს ოთარ ფარცხალაძის პიროვნების საზოგადოების თვალში დემონირებას.

მაგალითისათვის, აღნიშნული ე.წ. სიუჟეტის შემთხზველები ელემენტარულად ბატონი ოთარ ფარცხალაძის საცხოვრებელი სახლის ქუჩის მისამართის განზრახ შეცვლასაც არ მოერიდნენ. ასევე სიცრუეა საცხოვრებელ სახლთან მიმართებაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა აღნიშნული მიწის ნაკვეთი ოთარ ფარცხალაძემ შეიძინა მოქალაქე სოსო დოლიძისგან და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოხდა ამ საკითხის დაკავშირება ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმესთან, რაზეც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი არის მტკნარი სიცრუე, რაც დასტურდება შესაბამისი ფაქტებით.“

ადვოკატი სახლის შეძენის ფაქტზეც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული თითქმის დასრულებული საცხოვრებელი სახლი ოთარ ფარცხალაძემ 2017 წლის დეკემბერში შეიძინა მოქალაქე დავით მამულაიშვილისგან, რომელიც მიწის ნაკვეთის რეალური მესაკუთრე გახლდათ და არა სოსო დოლიძისგან.

„ეს ინფორმაცია არ არის კომერციული საიდუმლოება, საჯარო რეესტრის ამონაწერი ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომია და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება შესაბამის ოფიციალურ ვებ-გვერდზე,“ – ნათქვამია განცხადებაში.

ადვოკატის თქმით, სწორედ აღნიშნული აძლევთ მყარ საფუძველს იმის მტკიცებისთვის, რომ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები ამ რეალობის იგნორირებით ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ოთარ ფარცხალაძის დისკრედიტაციას.

* * *

„ახალი თაობა“ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით გაგი მოსიაშვილს დაუკავშირდა.

***– ბატონო გაგი, თქვენ ოთარ ფარცხალაძის ინტერესებს იცავთ. 8 ოქტომბერს საგანგებო განცხადებაც გაავრცელეთ და აღნიშნეთ ისიც, რომ თქვენი კლიენტი ყველა კითხვაზე გასცემს პასუხს. რას აპირებს ფარცხალაძე და როდის უპასუხებს დაგროვილ კითხვებს?***

– ჩვენ შევეცადეთ, რომ საზოგადოებაში დაგროვილი კითხვებისთვის პასუხი გაგვეცა პირველ ჯერზე განცხადებით, რომელიც გავავრცელეთ. განცხადებაში მითითებული გარემოებები კონკრეტულ შემთხვევაში არის წინაპირობა იმისა, რომ დაცვის მხარე ამ შემთხვევაში ვმუშაობთ.

უსაფუძვლო ეჭვებზე პასუხი რომ გავცეთ, უახლოეს პერიოდში ჩავატარებთ პრესკონფერენციას და თქვენთვის, საზოგადოებისათვის, საინტერესო და მნიშვნელოვან, დასაბუთებულ და დაუსაბუთებელ ნებისმიერ კითხვაზე პასუხს გავცემთ.

***– თქვენ აცხადებთ, რომ ეს ბრალდებები უსაფუძვლოა?***

– ეს არის აბსურდული ბრალდებები, რომლებიც მიზნად ისახავს ბატონი ოთარის დისკრედიტაციას. ამაზე ჩვენს განცხადებაშიც ვისაუბრეთ. ეს არ არის ტრაფარეტული სიტყვები, ეს არის ის რეალობა, რომლითაც ამ ეტაპზე დაკავებულია, სამწუხაროდ, მედია საშუალებების უმეტესი ნაწილი. ამიტომ, უახლოეს დღეებში დავგეგმავთ პრესკონფერენციას, წინასწარ შეგატყობინებთ და ეს ხელმისაწვდომი იქნება ყველა მედია საშუალებისთვის. სწორედ იქ ვისაუბრებთ ამ დეტალებზე.

***– ოთარ ფარცხალაძეს რა ურთიერთობები აქვს ზაზა ოქუაშვილთან? ახლო ნაცნობობა თუ აკავშირებთ? ამაზე რა გითხრათ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფმა?***

– ჩვენ განცხადებაში შეძლებისდაგვარად ვისაუბრეთ, ხოლო კონკრეტულ კითხვებზე პასუხს სწორედ პრესკონფერენციაზე გაგცემთ.

***– პრესკონფერენციის შემდეგ თუ გეგმავთ სამართლებრივი დავის დაწყებას? აპირებთ, მიმართოთ სასამართლოს?***

– ჩვენ ყველა სამართლებრივ და კანონიერ გზას ვიყენებთ და გამოვიყენებთ ჩვენი შელახული უფლებების აღდგენისთვის.

# ინგუშები საქართველოსთან შეერთებას ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

კავკასიაში დენთის სუნი ტრიალებს. წინა კვირას ინგუშეთში დაწყებული აქციები არ წყდება. აქციის მონაწილეები იმ გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვენ, რომლის თანახმადაც ინგუშეთს მიწები ჩამოართვეს და ჩეჩნეთს გადასცეს.

აქცია ინგუშეთის დედაქალაქ მაგასის ცენტრში, ადგილობრივი პარლამენტის შენობის წინ იმართება. რესპუბლიკის მეთაურის ბრძანებით, აქციის სიახლოვეს მდებარე ყველა კაფე და მაღაზია დაიკეტა.

ხელისუფლებამ აქციის მონაწილეების დარბევის ბრძანებაც გასცა. თუმცა ინგუშმა სამართალდამცავებმა საკუთარი ხალხის დარბევაზე უარი თქვეს, იარაღი დაყარეს და ხალხთან ერთად ილოცეს.

კვირას, 7 ოქტომბერს, აქციას ინგუშეთის პირველი პრეზიდენტი რუსლან აუშევი შეუერთდა. ეს ადამიანი აქ უდიდესი პატივისცემით სარგებლობს და მის გამოჩენას ინგუშები ოვაციებით შეხვდნენ.



მისი აზრით, ინგუშეთის ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როცა ტერიტორიების გადაცემის საკითხი ხალხთან შეთანხმების გარეშე გადაწყვიტა.

ინგუშეთის პირველი პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ საკითხზე რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო. აქციის მონაწილეებიც რეფერენდუმს ითხოვენ.

– გადაწყვეტილება უნდა შეთანხმდეს ვაინახური წესის შესაბამისად, ტრადიციულად – საკუთარ ხალხთან. თუ ეს ძმა გადასცემს მიწას მეორე ძმას, ის უნდა შეუთანხმდეს ოჯახს. თუ ერთი თეიფი გადასცემს მეორე თეიფს, ის უნდა შეუთანხმდეს საკუთარ თეიფს. იქნებ ვიღაცას ეს მიწას სჭირდება. არ შეიძლება ასეთი სწრაფი თანმიმდევრობით გადაწყვეტილების მიღება.

ცოლი რომ მოგყავს, რამდენად რთული პროცესია გასავლელი და აქ მიწას ეხება საქმე, რომელიც დედასავით არის ვაინახისთვის. მე არ ვსაუბრობ ჩეჩნურ მხარეზე, მაგრამ როგორც პირველ პრეზიდენტს, მინდა ვთქვა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დღეს შეცდომა დაუშვა. ეს საკითხი ხალხთან უნდა შეთანხმებულიყო, – განაცხადა რუსლან აუშევმა.

ინგუშები დაშლას არ აპირებენ და ამბობენ, რომ თავის მიწას არ დათმობენ. მაგასში მიმდინარე აქციაზე ცდილობენ, რომ ჩეჩნები არ გააკრიტიკონ, ერიდებიან მონათესავე ტომთან დაპირისპირებას.

აქციაზე რამდენიმე საინტერესო მოწოდება გაკეთდა. აქციის მონაწილეების ნაწილმა ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა. იმ შემთხვევაში, თუ იუნუს ბეკ ევკუროვი თავის გადაწყვეტილებას უკან არ წაიღებს, ისინი საქართველოსთან შეერთებას მოითხოვენ.

ეს განცხადება სერიოზულად არავის აღუქვამს, მაგრამ ინგუშებს ქართველებთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ.

ყველასთვის ცნობილია, რომ 1992-1993 წლებში, აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, ინგუშებმა, სხვა კავკასიელებისგან განსხვავებით, ოფიციალურად განაცხადეს უარი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ამ საომარ მოქმედებებში მხოლოდ რუსული არმიის ოფიცერი იუნუს ბეკ ევკუროვი მონაწილეობდა. რუსეთის არმიის გენერალმა რუსლან აუშევმა კი თავის ხალხს ოფიციალურად მოუწოდა, არავის აეღო ქართველების წინააღმდეგ ხელში იარაღი.

2008 წელსაც იგივე მოხდა, როდესაც კადიროველები დიდი სიხარულით შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ინგუშმა სამართალდამცავებმა თქვეს, რომ სამსახურიდან წავიდოდნენ, მაგრამ საქართველოს წინააღმდეგ არ იბრძოლებდნენ.

მარტო ამ ორი ისტორიიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას ინგუშების მხარდასაჭერად ერთი განცხადება მაინც უნდა გაეკეთებინა. გასაგებია, რომ მოსკოვის გაღიზიანებას ერიდებიან, მაგრამ უნდა ახსოვდეთ, რომ რუსლან აუშევმა, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკის მეთაური იყო, გაბედა და საქართველოს ღიად დაუჭირა მხარი. ნორმალური ქვეყნები ასეთ რაღაცებს არ ივიწყებენ.

# დავით ჭიჭინაძემ პატრიოტთა ალიანსს ფრაქცია შეუნარჩუნა

## ყოფილი მეოცნებე ნატო ჩხეიძეს ჩაანაცვლებს

შორენა მარსაგიშვილი



„ქართული ოცნების“ ახალგაზრდა ბოსების (კობახიძე-თალაკვაძე-მდინარაძის) მიერ შეჩვენებული დავით ჭიჭინაძე ნატო ჩხეიძის მიერ უარყოფილ პატრიოტთა ალიანსს მხსნელად მოევლინა.

დამოუკიდებელ დეპუტატადქცეული ყოფილი მეოცნებე ალიანსში შევიდა და ამით ფრაქცია დაშლას გადაარჩინა. პატრიოტთა ალიანსის საპარლამენტო ფრაქცია სულ 6 კაცისგან შედგებოდა. ნატო ჩხეიძის წასვლის შემდეგ ფრაქციაში ხუთნი დარჩნენ. ხუთი კაცით კი ფრაქციის შენარჩუნება გამორიცხულია. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით ფრაქცია თუ გინდა, 6 კაცი უნდა გყავდეს.



დავით ჭიჭინაძე არ მალავს, რომ დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსი პატრიოტთა ალიანსის ფრაქციის გადასარჩენად დათმო.

– ირმა ინაშვილთან საუბარი მქონდა. მათი თხოვნა იყო, რომ ფრაქციის შევსება მოხდეს მანამდე, ვიდრე სხვა რომელიმე დეპუტატს მოელაპარაკებიან. იმისათვის, რომ ფრაქციის ინიციატივები და ტრიბუნა არ გაუქმებულიყო, ფრაქციის წევრი მანამდე ვიქნები, ვიდრე სხვას მოელაპარაკებიან. თუმცა ისევ დამოუკიდებელ დეპუტატად ვრჩები, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

ალიანსის ფრაქციის გადამრჩენელი „ქართული ოცნებიდან“ რამდენიმე თვის წინ გარიცხეს. პარტიის ახალგაზრდა ბოსები საპარლამენტო უმრავლესობიდანაც აპირებდნენ მის მოკვეთას, მაგრამ ჭიჭინაძე იქიდან საკუთარი სურვილით წავიდა. თქვა, რომ ამიერიდან დამოუკიდებელი დეპუტატის რანგში გააგრძელებდა მოღვაწეობას.

მისი დამოუკიდებლობა, როგორც უკვე ვთქვით, ალიანსმა შეიწირა. მათ ფრაქციაში უბედურების ზარმა „ომეგა ჯგუფის“ სკანდალის შემდეგ ჩამოჰკრა. ნატო ჩხეიძე ამ ჯგუფის შეფის, ზაზა ოქუაშვილის მეუღლეა. აღსანიშნავია, რომ ოქუაშვილიც პატრიოტთა ალიანსშია. ის ალიანსის პარტიული სიით აჭარის უმაღლეს საბჭოში მოხვდა.

„ომეგას“ გარშემო სკანდალი ალიანსმა „გაატარა“, რამაც ნატო ჩხეიძის და მისი მეუღლის გაღიზიანება გამოიწვია. ზაზა ოქუაშვილმა თქვა, რომ მას თავის დროზე ივანიშვილმა პატრიოტთა ალიანსის დაფინანსება მოსთხოვა. ირმა ინაშვილის თქმით კი, ნატო ჩხეიძეს სურდა, რომ ალიანსის პრეზიდენტობის კანდიდატად დაესახელებინა.

ამის შემდეგ ნატო ჩხეიძემ ალიანსის ფრაქცია დატოვა. დასაშლელად განწირულ ფრაქციას მაშველ რგოლად დავით ჭიჭინაძე მოევლინა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მალხაზ მაჩალიკაშვილი: „ჩემი შვილი იმიტომ მოკლეს, რომ სკანდალური ინფორმაცია გაიგო“

## „პატრიარქს მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა მივაწოდო“

შორენა მარსაგიშვილი

ერთი თვის წინ, 10 სექტემბერს, შვილმოკლულმა მამებმა ზაზა სარალიძემ და მალხაზ მაჩალიკაშვილმა პარლამენტის შენობასთან საპროტესტო აქცია დაიწყეს. გამწარებული მამები თავიანთი შვილების მკვლელების დადგენას და მათ დასჯას ითხოვენ.

მათ აქცია ზაფხულშიც გამართეს, რამაც მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე და პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი გადაიყოლა. საზოგადოების ნაწილმა აქციას სოლიდარობა მხოლოდ იმიტომ არ გამოუცხადა, რომ იქ პოლიტიკოსები იდგნენ.

სექტემბერში აქცია პოლიტიკოსების გარეშე დაიწყო, რასაც საზოგადოება არ გაუაქტიურებია. მალხაზ მაჩალიკაშვილი მაინც მადლიერია და ამბობს, რომ ის ქართველი ხალხის საოცარ მხარდაჭერას გრძნობს.

ვინ ჩაუშალა პატრიარქთან შეხვედრა, რატომ მოკლეს სინამდვილეში მისი შვილი, რა შემთხვევაში მივა სუსში, ვინ აკონტროლებს დღეს ქვეყანას? – ამის შესახებ **მალხაზ მაჩალიკაშვილი** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– თქვენ და ზაზა სარალიძემ საპროტესტო აქცია ერთი თვის წინ დაიწყეთ. იყო მოლოდინი, რომ საზოგადოება იაქტიურებდა და მაღალი საპროტესტო მუხტი იქნებოდა, მაგრამ საზოგადოებამ თქვენი ტკივილი გულთან ახლოს არ მიიტანა. რითი ხსნით ასეთ დამოკიდებულებას?***

– მე ვერ ვიტყვი, რომ ხალხმა ჩვენი ტკივილი გულთან ახლოს არ მიიტანა. შეიძლება აქციაზე არ მოვიდნენ, მაგრამ ძალიან განიცდიან ამ ამბავს. ძალიან დიდ მხარდაჭერას და გულშემატკივრობას ვგრძნობ.

ძალიან ბევრს დავდივარ ფეხით და ბევრ ადამიანს ვხვდები. ეს ადამიანები საოცარ თანაგრძნობას გამოხატავენ. არ ვარ ის კაცი, რომ ტყუილები ვილაპარაკო. ამიტომაც არ ვიტყვი, რომ ხალხისთვის ჩვენი ტკივილი სულერთია.

***– აბა, აქციაზე რატომ არ მოდიან?***

– არ ვიცი, რატომ არ მოდიან. მთავარია, რომ მხარს გვიჭერენ. ესეც ბევრს ნიშნავს. საჭიროების შემთხვევაში საზოგადოება აქციაზე გამოვა და ჩვენთან ერთად დადგება. მე ამის მჯერა და ამის დიდი იმედი მაქვს.

***– 7 ოქტომბერს თქვენ უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდით. შეხვედრის შემდეგ იმედი გამოთქვით, რომ ბევრი რამე შეიცვლება. რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს?***

– ბევრი რაღაცა შეიცვლება. საერთაშორისო არენაზე დიდი ხანია გვინდოდა ჩვენი შვილების ამბის გატანა. სტრასბურშიც ვაპირებდით წასვლას, მაგრამ გემახსოვრებათ, ტერორისტად გამომაცხადეს და ველარ წავედით. საზღვარგარეთ წასვლის საშუალება მოგვისპეს, მაგრამ ვერ გაითვალისწინეს, რომ უცხოურ ორგანიზაციებს ვერ აუკრძალავდნენ ჩვენთან ჩამოსვლას.

პირველი შეხვედრა 7 ოქტომბერს შედგა. ამ დღეებში სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ჩამოვლენ და ამ უსასტიკესი დანაშაულების შესახებ მთელ მსოფლიოს ამცნობენ.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ დანაშაულის გამო, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მკაცრად მოეთხოვება პასუხი.

***– პირადად თქვენთან დაკავშირებით რა ხდება? ტერორისტად თუ მათთან დაკავშირებულ პირად გამოგაცხადეს და ამ მიმართულებით თუ არის რაიმე სიახლე?***

– არანაირი სიახლე არ არის. ამათ ხომ ყველაფერი შეუძლიათ. თუ მოინდომებენ, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე გამომაცხადებენ ბენ ლადენად. დღეს საქართველოს ხელისუფლება არა ჰყავს და აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ხალხი ბედის ანაბარაა მიტოვებული.. ამ ქვეყანაში ერთადერთი სამსახური მუშაობს და ეს არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

ეს სუსი აშინებს ხალხსაც და ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. სუსს ივანიშვილი შუშის სასახლეში ჰყავს გამოკეტილი.

***– სუსი ახსენეთ და ამ უწყებაში ადრე, კვირაში ერთხელ მაინც გიბარებდნენ, ახლა კარგა ხანია აღარ გახსენებიხართ და რა ხდება?***

– სიმართლე გითხრათ, სულ აღარ მაინტერესებს, დამიბარებენ თუ არა სუსში გამოკითხვაზე. მეოთხედ რომ მიმიყვანეს სუსში, მაშინ ვუთხარი იმათ, რომ მეტჯერ ამ შენობაში მომსვლელი აღარ ვარ. იმის შემდეგ აღარ დავუბარებივარ.

მომავალში რას მოიფიქრებენ, არ ვიცი. რაც შემეხება მე, მე ჩემს სიტყვას შევასრულებ და იმ შენობაში საკუთარი ფეხით არ მივალ. ძალით შეიძლება წამიყვანონ. ჩემ წინააღმდეგ ძალის გამოყენებას თუ გაბედავენ, მაშინ ნახავენ, რაც მოხდება.

***– თქვენი შვილის საქმეზე უამრავი ვერსია გავრცელდა. არის ასეთი ვერსიაც, რომ ის სპეცოპერაცია იმიტომ ჩატარდა, რომ ქისტები და ქართველები დაეპირისპირებინათ ერთმანეთთან და თემირლანი შემთხვევით მოკლეს. ამაზე რას გვეტყვით?***

– ამ საშინელებაზე ყოველდღე ვფიქრობ. ძალიან ბევრს ვმუშაობ იმის გასარკვევად, თუ რა მოხდა იმ დღეს და რა მიზანს ემსახურებოდა ის სპეცოპერაცია. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მცხოვრებ პროფესიონალებთან მაქვს კონტაქტი და მათთან გავდივარ კონსულტაციებს. ყველაფერს დეტალურად როცა იგებენ, ორ ვერსიას განიხილავენ.

მათი თქმით, ეს სპეცოპერაცია მართლა იმ მიზნით ჩატარდა, რომ ქართველები და ქისტები დაეტაკებინათ ერთმანეთთან.



„სუსმა ივანიშვილი შუშის სასახლეში გამოკეტა“

სპეციალისტების ნაწილი მეუბნება, რომ სპეცოპერაცია სპეციალურად თემირლანის ლიკვიდაციის მიზნით ჩატარდა. მათი აზრით, თემირლანმა რაღაც ისეთი იცოდა, რაც მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მიზეზი გახდა. ეს ორი ვერსია განიხილება და მეც ამ ორ ვერსიას განვიხილავ.

თემირლანი რამეში რომ ყოფილიყო შემჩნეული, ამას პირველი მე ვიტყოდი. რამე რომ დაეშავებინა და ამის გამო ჩატარებული სპეცოპერაციისას ესროლათ მისთვის, ეს ჩემთვის დიდი შეღავათი იქნებოდა.

ჩემს შვილს საქართველოს წინააღმდეგ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, ამათ კი მძინარე ბავშვი ლოგინში მოკლეს. ეს უკვე შეფასდა საუკუნის დანაშაულად. დასავლეთის რომელიმე ქვეყანაში მძინარე ბავშვი, თუნდაც ის დამნაშავე ყოფილიყო, ლოგინში რომ მოეკლათ, ძალიან დიდი ამბები მოჰყვებოდა. ხელისუფლება შეეწირებოდა ამ ამბავს.

აქ კი, ვითომ აქ არაფერი. იმის მაგივრად, რომ დამნაშავე იპოვონ და სიმართლე დაადგინონ, კიდევ ათას სიბინძურეს უგონებენ ბავშვს. გასკდა გული, აღარ შემიძლია. რასაც მე ვგრძნობ, ის უნდა გამოსცადონ ამათაც და მერე ნახავენ, რას ნიშნავს, როცა მძინარე შვილს მოგიკლავენ.

***– როდესაც ვერსიებზე საუბრობდით, თქვით, რომ თემირლანმა შეიძლება რაღაც ისეთი ინფორმაცია იცოდა, რაც მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მიზეზი გახდაო. საიდან შეიძლებოდა სცოდნოდა პატარა ბიჭს ასეთი ინფორმაცია ან რა იცოდა ისეთი, რომ სასიკვდილოდ გაიმეტეს?***

– პანკისში გაიგებდა ამ ინფორმაციას. შესაძლოა, ის ნახა, როგორ გადასცა სუსმა ფული თავის აგენტებს, რომლებიც ახლა დაჭერილები არიან. თემირლანს ჰქონდა კორპორატიული ნომერი. ამ ნომრით დარეკვა იაფი იყო და ბევრი იყენებდა მის ნომერს. არ გამოვრიცხავ, რომ ამ ნომერზე ვიღაცას რაღაც შეტყობინება მოუვიდა, რომელიც უცხო პირს არ შეიძლება, რომ სცოდნოდა. არ გამოვრიცხავ, კიდევ სხვა რამე დაინახა.

ალაჰის სახელს გეფიცებით, ჩემი შვილი დამნაშავე არ ყოფილა. პატარა გადაცდომა რომ ჰქონოდა, ვიტყოდი. და კარგით, ვთქვათ და იყო ჩატაევთან დაკავშირებული, საწოლში უნდა მოეკლათ? დაეკავებინათ და ისე გამოეძიებინათ, მაგრამ ვიღაცას არ აწყობდა, რომ ბავშვს ეცოცხლა. მან ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაიგო.

***– საინტერესოა, ვისგან გაიგო, ვიცით, რომ თემირლანი დიდი ხნის მანძილზე სახლიდან არ გამოდიოდა, რადგანაც თვალებზე პრობლემა ჰქონდა.***

– თემირლანი დიდი ხანი არ გამოდიოდა გარეთ, ბავშვი ვერ ხედავდა და არ უნდოდა ხალხთან ურთიერთობა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გავუკეთეთ ოპერაცია. ამისთვის ბანკიდან კრედიტი გამოვიტანე და ამ ვალს დღემდე ვიხდი.

ძალიან უხაროდა, თვალები რომ აეხილა. ყველას ეფერებოდა და მასაც ყველა სიხარულით ხვდებოდა. მაგრამ ერთი წელიც ვერ იარა თვალებახელილმა, სამუდამოდ დაუხუჭეს ჩემს ბიჭს თვალები.

დამნაშავეები ამისთვის აუცილებლად აგებენ პასუხს და სიმართლეც მალე გაირკვევა.

***– გავრცელებული ინფორმაციით, თქვენი ნახვა სურდა საქართველოს პატრიარქს, მაგრამ თქვენ მასთან არ მიხვედით. მართალია?***

– პატრიარქთან როგორ არ მივიდოდი, დიდ პატივს ვცემ ამ ადამიანს. მინდოდა მასთან შეხვედრა, მაგრამ რაღაც ძალებმა ეს ჩაშალეს. არადა მისთვის მნიშვნელოვანი რამე მქონდა სათქმელი.

***– რა უნდა გეთქვათ?***

– ქვეყანაში არსებულ ვითარებას ეხება. იმედი მაქვს, შევხვდები პატრიარქს. იმედი მაქვს, რომ სიმართლეც დადგინდება და ჩემი თემირლანი და დათუნა სარალიძე იქნებიან ამ სისხლიანი რეჟიმის ბოლო მსხვერპლი.

## თამარ ჩუგოშვილი: „რუსეთი ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრ არც ერთ ვალდებულებას არ ასრულებს“



რუსეთი ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრ არც ერთ ვალდებულებას არ ასრულებს, – ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა, თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა. დეპუტატი შანტაჟს უწოდებს იმას, რაც ევროსაბჭოში ბოლო პერიოდის განმავლობაში ხდება.

– რუსეთი არ ასრულებს არც ერთ ნაკისრ ვალდებულებას ევროსაბჭოს წინაშე, არ იხდის საწევრო გადასახადს, რომელსაც სხვა წევრები იხდიან და ამბობს, რომ თუ უპირობოდ არ დაკმაყოფილდება მათი მოთხოვნები, მაშინ დატოვებენ ევროსაბჭოს. რუსეთმა უნდა შეასრულოს ის ვალდებულებები, რომელიც აღებული აქვს როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს წინაშე და თუ ის ამ ვალდებულებებს შეასრულებს, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ ჩვენ სანქციების მოხსნაზე და არა სანქციების მექანიზმის გაუქმებაზე, – განაცხადა ჩუგოშვილმა, რომელიც სტრასბურში იმყოფება და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიაში მონაწილეობს.

მისივე თქმით, თუ ევროსაბჭო რუსეთის შანტაჟს დაჰყვება, ეს მძიმე შედეგების მომტანი იქნება.

– საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს მის პოზიციას. ვფიქრობ, რომ ევროსაბჭო აცნობიერებს, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი ამ შანტაჟს დაჰყვება ეს ორგანიზაცია და ეს ძალიან მძიმე შედეგი იქნება ყველასთვის. ამიტომ ამ ვითარებიდან გამომდინარე, საკმაოდ რთული დისკუსიები იქნება ამ კვირის განმავლობაში. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ევროსაბჭო მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რაც ამ ორგანიზაციის სულისკვეთებას ეხმიანება, ანუ წევრი ქვეყნების ვალდებულებას, რომ პატივი სცენ ადამიანის უფლებებს და დემოკრატიულ სტანდარტებს. ჩვენი ქვეყნის დელეგაციის პოზიციაა, რომ მექანიზმი დარჩეს ისე, როგორც დღეს მუშაობს. სანქცირების მექანიზმი არ უნდა გაუქმდეს და რუსეთს მოეთხოვოს მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება, – აღნიშნა თამარ ჩუგოშვილმა.

## დავით უსუფაშვილი: „ვიდრე ფარცხალაძეს ექნება განცდა, რომ მას პოლიტიკური მფარველები ჰყავს, ასე ისაუბრებს“



– ისლა გვაკლია, რომ მთელ მსოფლიოში მოეჭრას თავი ქვეყანას, – ამის შესახებ „შენების მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით უსუფაშვილმა „ომეგა ჯგუფის“ საქმესთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა.

დავით უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ ეს საკითხები საქართველოში უნდა გაირკვეს.

– ადამიანებმა, რომლებიც ან თავს ვერ ართმევენ საკუთარ სახელისუფლებო მოვალეობებს, ან უარესი, ჩართულები არიან უკანონო მოქმედებებში, მათ ისედაც უკვე დააზარალეს ქვეყანა.

ისლა გვაკლია, რომ მთელ მსოფლიოში მოეჭრას თავი ქვეყანას. ეს თემები საქართველოში ქართველმა პროკურორებმა და მოსამართლეებმა უნდა გადაწყვიტონ. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ერთმანეთს, ლონდონსაც და ტოკიოსაც, რომ შეგვიძლია საკუთარი სახელმწიფოს გაძღოლა. არაობიექტურად წარმართული გამოძიებები გაცილებით ძვირად უჯდება ხელისუფლებებს, ვიდრე ობიექტურად წარმართული და მისი რომელიმე წარმომადგენლის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, – განაცხადა უსუფაშვილმა.

უსუფაშვილი ასევე გამოეხმაურა ოთარ ფარცხალაძის ადვოკატის საგანგებო განცხადებას, სადაც საუბარია, რომ ფარცხალაძეს არანაირი კავშირი არ ჰქონია „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლის ზაზა ოქუაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან.

– სანამ ფარცხალაძეს ექნება განცდა, რომ მას პოლიტიკური მფარველები ჰყავს, ის, რა თქმა უნდა, ასე ისაუბრებს. აბა ხომ არ იტყვის, რომ მე ვარ ყველაფერში დამნაშავეო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა მფარველებმა მიიღონ სწორი გადაწყვეტილება. თავად ფარცხალაძე სწორ გადაწყვეტილებას არასდროს მიიღებს. ის ბოლომდე შეეცდება დაიცვას თავი. ასევე იქცეოდნენ წინა ხელისუფლების ფავორიტი ადამიანები, რომლებიც მსგავსი თემებით იყვნენ დაკავებულები. პოლიტიკურმა მფარველებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, – განაცხადა უსუფაშვილმა.

# „ზურაბიშვილის რეიტინგი „ოცნების“ რეიტინგს ჯურღმულში ჩაიყოლებს“

## ხათუნა ლაგაზიძე: „მეორე ტური გარდაუვალია“

იაგო ნაცვლიშვილი



პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათი შიდა კვლევის მიხედვით, სალომე ზურაბიშვილი დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს. სულ სხვა სურათი იყო „რუსთავი 2“-ის დაკვეთით ჩატარებულ კვლევაში, სადაც მმართველი გუნდის კანდიდატი მესამე ადგილზე გავიდა.

„ახალი თაობა“ პოლიტოლოგ **ხათუნა ლაგაზიძეს** ესაუბრა იმის გასარკვევად, რამდენად ასახავს სოციოლოგიური კვლევები საზოგადოებრივი აზრის შედეგებს, რა მიზნით ტარდება ეს კვლევები და რას ელოდება ამ არჩევნებისგან?

***— ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ ჩაატარეს შიდა კვლევა და მათ სოციოლოგიურ კვლევაში დიდი უპირატესობით იმარჯვებს სალომე ზურაბიშვილი. როგორია თქვენი შეფასება ამ საკითხზე?***

— კვლევების მიმართ ქართულ სინამდვილეში ძალიან დაბალია ნდობა და მიმღებლობა. წლების განმავლობაში არჩევნების წინ სხვადასხვა კანდიდატის მხარდამჭერი წყაროები სხვადასხვა მონაცემებს აქვეყნებენ. ისეთს, რა სურათიც უნდათ იხილონ არჩევნებზე. ამ შემზადების იარაღად იქცა სოციოლოგიური კვლევები. ამიტომ არის დაბალი მიმღებლობა.

კვლევები საქართველოსნაირ ქვეყნებში რეალური სურათის დანახვასთან ერთად ასევე გამოიყენება იმისთვისაც, რომ საზოგადოებრივ აზრზე ფორმირების იარაღადაც გამოიყენონ.

***— შედეგების მანიპულაცია ხდება თუ ფალსიფიცირება?***

— მე გესაუბრებით იმაზე, რა მიზანსაც ემსახურება ხოლმე სოციოლოგიური კვლევა. მე არ გელაპარაკებით, კონკრეტულად, არც „რუსთავი 2“-ის დაკვეთით ჩატარებულ კვლევაზე და არც იმ კვლევაზე, რაზეც ირაკლი კობახიძემ ისაუბრა, რადგან მე არც ერთი კვლევის „ნედლი“ მასალა და მონაცემები არ მაქვს ხელთ.

თუმცა, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციად იქცა მონაცემების ფალსიფიცირება მანიპულაციის მიზნით. სოციოლოგიურ კვლევას ჩვენნაირ ქვეყნებში ანუ უმწიფარ დემოკრატიებში 2 ფუნქცია აქვს: დამკვეთმა დაინახოს რეალური სურათი, რა პრობლემა და ხარვეზები აქვს მის კანდიდატს და მეორე ის, რომ საზოგადოებაში შეამზადოს ფონი იმ სასურველი შედეგისთვის, რისთვისაც პარტია თუ კანდიდატი იბრძვის. შედეგი, რომელსაც კვლევის დამკვეთი იღებს და ის შედეგი, რომელსაც აწვდიან საზოგადოებას, ხშირ შემთხვევაში შეიძლება იყოს აბსოლუტურად განსხვავებული. სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ბოლო 20 წელში რასაც ვაკვირდებით, ასეთი გაუკუღმართებული სახე შეიძინეს სოციოლოგიურმა კვლევებმა.

ჯერ კიდევ არსებობდა ნდობა კვლევების მიმართ 2003 წლის არჩევნების პერიოდში. 2003 წლიდან მის მიმართ ნდობა სულ უფრო და უფრო იკლებს იმ მიზეზების გამო, რაზეც ვისაუბრე. წყალგამყოფზე თუ ვისაუბრებთ, ამ თვალსაზრისით 2003 წელი შეიძლება მივიჩნიოთ წყალგამყოფად. მანამდე ახალი ხილი იყო ქართული საზოგადოებისთვის სოციოლოგიური კვლევა და ნდობა ამ ციფრების მიმართ გაცილებით მაღალი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ კვლევის შედეგებს უფრო ინფანტილურად ვუყურებდით 2003 წლამდე და შემდეგ თითქოს უფრო „დავბრძენდით“.

***— ქართული რეალობა ახსენეთ და სოციოლოგიური კვლევების მიმართ უნდობლობა მხოლოდ ჩვენს რეალობაშია თუ ზოგადად სახე იცვალა?***

— ასეა ზოგადად. მხოლოდ ქართული ნოუჰაუ არ არის. საქართველოსნაირ ქვეყნებში უფრო მიმართავენ ხოლმე სოციოლოგიური კვლევებით საზოგადოებაზე ზემოქმედებას. უფრო მყარი დემოკრატიის სახელმწიფოებში სხვანაირად არის. იქ ნაკლებად იყენებენ კვლევებს მანიპულაციისთვის.

თუმცა, სოციოლოგიური აზრის კვლევის მიმართ ნდობა დასავლეთშიც ძალიან დაეცა: ერთი რამე მინდა გავიხსენო, ეს არის აშშ-ის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები. ყველა კვლევა, რაც საჯარო ხდებოდა, აჩვენებდა, რომ იმარჯვებდა კლინტონი. რეალობა სხვა აღმოჩნდა და გაიმარჯვა ტრამპმა. იქ სოციოლოგიური კვლევები კი არ გააყალბეს, უბრალოდ, ვერ ასახეს რეალობა. სრულიად ახალი ტექნოლოგიებით მიმდინარეობდა ბოლო საპრეზიდენტო კამპანია, კვლევები კი იზომებოდა ძველი ტექნოლოგიებით, მაშინ, როცა საარჩევნო კამპანია ახალი ტექნოლოგიებით მიდიოდა. ამიტომაც მიიღეს ის ცდომილება. ამიტომ ტრამპის არჩევნების შემდეგ თუ რამეს მიმართ გაიზარდა უნდობლობა, პირველ რიგში სოციოლოგიური კვლევების მიმართ. ეს ჩვენთვისაც არის გასათვალისწინებელი. ჩვენც გველოდება წინ ახალი ტექნოლოგიებით არჩევნების ჩატარება, ოღონდ გარკვეული დროის შემდეგ.

***— თქვენი მოლოდინი როგორია ამ არჩევნებთან დაკავშირებით? იქნება მეორე ტური?***

— მე აღვნიშნე რომ სოციოლოგიურ კვლევებს არ ვეყრდნობი, მე ვეყრდნობი თბილისსა და რეგიონებში არსებულ განწყობებს, საკმაოდ ინტენსიური შეხება მაქვს რეგიონებთანაც. ამასთანავე ჩანს სურათი სოციალურ ქსელშიც. ობიექტური მოცემულობა ასეთია, რომ მეორე ტური გარანტირებულია. რა უნდა ხელისუფლებას, რა მასშტაბის გაყალბებას გაბედავს თუ ვერ გაბედავს, ეს სხვა რეალობაა.

ხელისუფლების რიტორიკიდან ჩანს, რომ ყველაფერზე მზადაა წავიდეს, რომ სხვა სურათი დაიდოს.

***— პირდაპირ გაყალბებაზე წავა თუ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე?***

— არაკანონიერი, მაგრამ უფრო რაციონალური იქნებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ასეთი მძიმედ „გასაყვანი“ კანდიდატი არც ერთ ხელისუფლებას არ ჰყოლია, როგორიც სალომე ზურაბიშვილია.

ძალიან მინდა ეყოს რაციონალიზმი „ქართულ ოცნებას“ და გაყალბებაზე არ წავიდეს, როგორც არ უნდა გაუჭირდეს მას. მარტივი ფორმულა ასეთია, რომ რაც უფრო ბევრი ხალხი მივა არჩევნებზე, ადმინისტრაციული რესურსის წილი მით უფრო დაბალი იქნება. საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების წილი მაღალი იქნება მაშინ, თუ ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერები არ მივლენ არჩევნებზე. ეს უზრუნველყოფს ზურაბიშვილისთვის ხმების მიცემას, თუმცა ეს მის მხარდაჭერას არ ნიშნავს და აქ ტოლობის ნიშანს ვერ დავსვამთ.

ეს იქნება იცით რა? საბჭოთა კავშირის დროს მარშებზე და „პარადებზე“ რომ გამოჰყავდათ კომუნისტური პარტიის წევრები. ასეთი ვითარება იქნება ახლაც, მხოლოდ იძულების წესით მივლენ „მეოცნებეები“ ზურაბიშვილისთვის ხმის მისაცემად, მაგრამ გარწმუნებთ, რომ 100 მიცემული ხმიდან, უშუალოდ სალომე ზურაბიშვილისთვის მიცემული ხმა შეიძლება იყოს 1 ან 2.

ასეთი საოცრად გამაოგნებული არჩევანი გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“: შემცირებული რეიტინგის მქონე „ოცნებას“ არ შეუძლია ზურაბიშვილის რეიტინგი აქაჩოს. სამაგიეროდ, ზურაბიშვილის რეიტინგი „ოცნების“ შემორჩენილ რეიტინგსაც წყალში გადაყრის. ამას ყველაზე უკეთ თავად „ქართული ოცნება“ გრძნობს.

დამერწმუნებით, რომ არასდროს არ დაპირისპირებია ღიად სახელისუფლო კანდიდატს ეკლესია. ესეც ინდიკატორია. ის რომ მეუფეები დღეს ტელევიზიით აღარ საუბრობენ, არ ნიშნავს, რომ მრევლთან ურთიერთობაში მათ იგივე განწყობა არ აქვთ.

ასეთი სირთულეების წინაშე არასდროს ყოფილა სახელისუფლებო კანდიდატი.

***— ამას რითი ხსნით?***

— გაუცხოება მოხდა. სალომე ზურაბიშვილისთვის ეს საზოგადოება აბსოლუტურად უცხოა. მან ვერ მოახერხა შეესისხლხორცებინა ეს ერი, როგორც მისი ორგანული ნაწილი. ამას ზურგის ტვინით გრძნობს ხალხი. გაუცხოებაა მთავარი პრობლემა. უცხო სხეულად დარჩა. როცა კანდიდატი იძახის, რომ პრეზიდენტი ხალხთან კი უნდა იყოს, მაგრამ ხალხზე მაღლა უნდა იდგესო, ეს ამომრჩევლის უმეტესობას ძალიან აღიზიანებს. სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს ის და ხალხი და ემოციური ბმა არ აქვთ ერთმანეთთან.

სალომე ზურაბიშვილი თუ გაიმარჯვებს, ეს მხოლოდ 2 მიზეზით მოხდება: ერთი, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულები მისცემენ მას ხმას, რათა არ დაკარგონ სამსახური და მეორე, არ მოხდეს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის ან „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელი პარლამენტის თავმჯდომარის გამარჯვება.

***— ანუ, შავი და თეთრი პოლიტიკური ფერების წარმოჩენას შეეცდება ხელისუფლება და ამ ვითარების თავის სასარგებლოდ შემოტრიალებას თუნდაც მეორე ტურში?***

— როცა მე ვსაუბრობ რაციონალიზმზე, ამან უნდა უბიძგოს „ოცნებას“, რომ მეორე ტურზე წავიდეს. ვინც პირველ ტურში არ მივა არჩევნებზე, მეორე ტურში ასეთი ამომრჩეველიც კი შეიძლება მიიყვანონ იმის შიშით, რომ „კაი ბატონო, არ გინდათ ზურაბიშვილი, არ ვარგა, ენა არ იცის და ა.შ., მაგრამ თუ ვაშაძემ მოიგო, მაშინ პირველივე აქტს იმას გამოსცემს, რომ სააკაშვილს შეიწყალებს“. ასე რომ, ალბათ ამ რაციონალიზმს მიმართავს „ქართული ოცნება“.

„ოცნების“ ლიდერებშიც კი, 3-4 კაცის გარდა არავინ მეგულება, რომელიც თანახმა იყო სალომე ზურაბიშვილის კანდიდატობის. ზურაბიშვილის წარდგენის ღონისძიებებზე „მეოცნებე“ ლიდერების სიმწრის ღიმილაფარებულ სახეებსაც რომ დააკვირდეთ, მათი რეალური განწყობა კარგად ჩანს. აქ არ ვსაუბრობ იმაზე, ცუდია თუ კარგი სალომე ზურაბიშვილი. იმაზე ვსაუბრობ, თუ რატომ მოხდა გაუცხოება. ქედმაღლობა არის ის, რა როლიდანაც ზურაბიშვილი საზოგადოებას უყურებს და თან არც მალავს. ეს მისი მიუღებლობის თავი და თავია.

# ირაკლი კობახიძე: „ნიკა გვარამია უნიათო ფაშისტია“

## ნიკა გვარამია: „ვინ არის ფაშისტი ჩვენ ორს შორის, კითხვის ნიშნები არ დაგრჩებათ“

მკვეთრი განცხადებებით ცნობილმა ირაკლი კობახიძემ გუშინ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი.

სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე პარლამენტის თავმჯდომარემ ნიკა გვარამიას ფაშისტი უწოდა.

კობახიძე ამბობს, რომ ფეისბუქპოსტში ნიკა გვარამიამ მოღალატეები უწოდა ყველა იმ ადამიანს, ვინც ხელისუფლების მხარდაჭერილ კანდიდატს დააფინანსებს, რისი მიზეზიც, კობახიძის აზრით, პოლიტიკური რეიტინგებია, სადაც სალომე ზურაბიშვილი ლიდერობს.

— ეს ისტერიული განცხადება უსათუოდ უკავშირდება კანდიდატების რეიტინგებს, რომელთა მიხედვითაც, სალომე ზურაბიშვილი დამაჯერებლად იგებს არჩევნებს, ხოლო ნიკა გვარამიას და ნაციონალური მოძრაობის პარტიული კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე შესაძლოა მეორე ადგილზეც ვერ გავიდეს.

ეს განცხადება არის ხელმოცარული და უნიათო ფაშისტის განცხადება, რომელიც გასული ექვსი წლის მანძილზე არაერთგზის მწარედ დამარცხდა, ქართული დემოკრატიის, ქართული საზოგადოებისა და სიმართლის წინაალმდეგ ბრძოლაში,.

ნიკა გვარამიას შეიძლება მართლაც აქვს იმის იმედი, რომ მის განცხადებებს რაიმე გავლენა ექნება საზოგადოების პოზიციებზე, თუმცა საპირისპიროს ადასტურებს ხალხისა და ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო ჩართულობა სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიაშია, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, მას ჰქონდა იმედი, რომ ნიკა გვარამიას პირად სივრცეში გამოთქმული აზრის გამო მესამე სექტორის წარმომადგენლები გააკრიტიკებდნენ, თუმცა ეს ასე არ მოხდა.

გუშინვე რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა პარლამენტის თავმჯდომარის ბრალდებებს უპასუხა.

— რას მოვესწარით, სადამდე დეგრადირდა ქართული სახელმწიფო, მისი მთავარი ინსტიტუციის ხელმძღვანელი, პარლამენტის თავმჯდომარე, მეორე პირი სახელმწიფოსი, საგანგებო ბრიფინგებს უძღვნის ნიკა გვარამიას, მოქალაქის სტატუსებს.

ამ ქვეყანას მეტი პრობლემა არ აქვს ჩემი სტატუსების გარდა? ამ ქვეყანაში არ იტაცებენ ადამიანებს, ამ ქვეყანაში არ ჩაჰყავთ სარდაფებში ადამიანები, ეს ქვეყანა არ არის ოკუპირებული, ამ ქვეყანაში არ შიმშილობს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ამ ქვეყანაში არ არის უზარმაზარი დაუსაქმებელი ადამიანების მასა? არ მესმის უბრალოდ. მთავარი არის ის, რომ ჯერ შეხედეთ პარლამენტის თავმჯდომარეს, მერე შემომხედეთ მე, მოუსმინეთ მას და მომისმინეთ მე — ვინ არის ფაშისტი ჩვენ ორს შორის, მე მგონი, კითხვის ნიშნები არ დაგრჩებათ, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

# კახა კალაძე: „არასამთავრობოები ძირითადად შექმნილია „ნაცმოძრაობის“ მიერ, ისინი ან ხიბლში არიან, ან ვალში“

არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად შექმნილია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, მათი ხელდასმულები არიან და დღეს ისინი ან ხიბლში არიან, ან ვალში, — ასე ეხმაურება თბილისის მერი კახა კალაძე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მისამართით პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, სადაც ირაკლი კობახიძემ არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს „ფაშისტების მხარდამჭერები“ უწოდა.

როგორც კალაძე აცხადებს, ეს ადამიანები არიან წარსულში ჩარჩენილები და ცდილობენ საზოგადოებაზე ზეწოლა მოახდინონ და შეუზღუდონ თავისუფლების გამოხატვის შესაძლებლობა.

— რაც შეეხება არასამთავრობოების სიჩუმეს, მგონი, აქ არაფერი უნდა გაგვიკვირდეს, არც ჩვენ და არც ზოგადად საზოგადოებას. არასამთავრობოები ძირითადად შექმნილია „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, მათი ხელდასმულები არიან და დღეს ისინი ან ხიბლში არიან, ან ვალში. არ უნდა გაგვიკვირდეს მათი მხრიდან სიჩუმე იმ ამაზრზენ და არაადეკვატურ განცხადებაზე, რომელიც გააკეთა პარტიული ტელევიზიის ხელმძღვანელმა. ამავდროულად, ყოფილ პროკურორს უნდა ახსოვდეს, რომ თითოეულ ჩვენთაგანს აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება გააკეთოს არჩევანი, ეს არის თავისუფლების გამოხატვა, გააკეთოს არჩევანი ამა თუ იმ კანდიდატთან მიმართებაში. ეს ადამიანები არიან წარსულში ჩარჩენილები და ცდილობენ იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებიან, საზოგადოებაზე ზეწოლა მოახდინონ და შეუზღუდონ თავისუფლების გამოხატვის შესაძლებლობა.

ჩვენ, საზოგადოებამ, რა თქმა უნდა, უნდა მოვახდინოთ კონსოლიდაცია და ჩავტოვოთ იქ, სადაც არიან. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ უნდა მოვახდინოთ ერის გაერთიანება. არ გვჭირდება გაყოფილი საზოგადოება, ეს ძალიან ცუდია. ვიცით, როგორი იყო წლების განმავლობაში დაყოფილი საზოგადოება, დაპირისპირებული საზოგადოება, ამიტომ გვჭირდება ერთიანობა, ურთიერთპატივისცემა, მეტი სიყვარული. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც შეძლებს საზოგადოების გაერთიანებას. ამას დრო დასჭირდება, მაგრამ შევძლებთ, — განაცხადა კალაძემ.

მისივე შეფასებით, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას განცხადება „არანორმალური“ იყო.

— არანორმალურია ის განცხადება, რომელიც გაკეთდა. შესაბამისად, არასამთავრობოების მხრიდან უნდა მომხდარიყო რეაგირება. ორმაგი სტანდარტი, რასაც დღეს ვხედავთ, კატეგორიულად მიუღებელია. ის რეიტინგი, რომელიც საზოგადოებაში გააჩნიათ არასამთავრობოების წარმომადგენლებს, იქ იქნებიან, თუ არ განახორციელებენ და არ მოახდენენ რეაგირებას ასეთ განცხადებებზე, — განაცხადა კალაძემ.

# რამაზ საყვარელიძე: „ჩანაწერები არჩევნების შედეგზე რაღაც გავლენას იქონიებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს ჩანაწერების გავლენაზე 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

***— ბატონო რამაზ, სკანდალურ საქმეებთან კავშირში მყოფი ადამიანები, მაგალითად, ფარცხალაძე, „ქართულ ოცნებას“ რამდენად უქმნის პრობლემას?***

— ასეთი ფიგურები ხელისუფლების იმიჯს შეიძლება დარტყმას აყენებდნენ, მაგრამ დამრტყმელია საჭირო. თავის დროზე ასეთი დამრტყმელი მიხეილ სააკაშვილი იყო. სააკაშვილი როდესაც იუსტიციის მინისტრი იყო, ყველას კარგად ახსოვს მის მიერ მთავრობის სხდომაზე აფრიალებული ფოტოები საირმის ქუჩის სახლების. რეალურად რა იყო და როგორ იყო, ამას არ აქვს მნიშვნელობა, პოლიტიკური შედეგისთვის ეს უკვე საკმარისი იყო.

ამიტომ არის, რომ პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ძალიან მნიშვნელოვანია, შავი ლაქა არ გქონდეს, ისევე, როგორც პარტიაში არ იყვნენ დისკრედიტებული ფიგურები, რომ შემდეგ ეს ვიღაცამ არ გამოიყენოს.

***— ასეთი ფიგურები ნეგატივს რამდენად აგროვებენ და შემდეგ რამდენად ხდება ამ ყველაფრის ასახვა?***

— რასაკვირველია, აგროვებენ, ამიტომ არის, რომ საზოგადოების აქტივობა არჩევნებში მკვეთრად არის დაკლებული. ამ შემთხვევაში 28 ოქტომბრის არჩევნებს არ ვგულისხმობ მხოლოდ, ზოგადად ვამბობ. მართალია, მეორე მხარეს მიმზიდველობა ნაკლებია, წამყვანი ოპოზიციური პარტიის, ნაციონალური მოძრაობის, შავი ლაქები გაცილებით უფრო დიდია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მმართველი პარტია ამით მომგებიან მდგომარეობაშია.

შავი ლაქები ორივე მხარეს რომ გროვდება, ამიტომ ადამიანები აღარ მიდიან არჩევნებზე. მათთვის სულ ერთი ხდება არჩევნების შედეგები. ამიტომ ვიღებთ იმ სურათს, რაც ამჟამად გვაქვს.

ამიტომ, თუ არ გამოჩნდება ქარიზმატული ლიდერი, ვართ იმ ვითარებაში, რა ვითარებაშიც ვართ.

***— ამ არჩევნებისთვის ასეთი ლიდერის გამოჩენა, ალბათ, დაგვიანებულია. მომავალი არჩევნებისთვის აკეთებთ აქცენტს?***

— ამ არჩევნებისთვის ასეთი ლიდერი დაგვიანებულია, რადგან ერთ დღეში დაბადებული ლიდერი არ არსებობს. მე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ვსაუბრობ. მე ველოდები, რომ მსგავს „შავ ლაქებს“ ასეთი ლიდერი სწორედ იმ დიდი არჩევნებისთვის გამოიყენებს და არ გამოვრიცხავ, რომ შედეგიანადაც გამოიყენოს.

***— ამის შესაძლებლობას მისცემს „ოცნება“, ანუ რამდენად იტყვის ასეთ ოდიოზურ ფიგურებზე უარს?***

— აი, ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი, იტყვის უარს?! განუდგება?!

***— არ გამორიცხავთ, რომ სჭირდებოდეთ?***

— სწორედ ასეთი ფიგურები, სწორედ ასეთი „შავი ლაქები“ იმსხვერპლებენ ხოლმე ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს და ეს ასე ყოფილა ყველა დროში და ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ასეთ ფიგურებზე დგანან.



***— გავრცელებული ჩანაწერები თქვენ რა დასკვნის საფუძველს გიტოვებთ? ეს ყველაფერი რამდენად ახდენს ხელისუფლების მაღალჩინოსნების იდენტიფიცირებას კორუფციულ სქემებთან?***

— ეს ფარული ჩანაწერები ამ შთაბეჭდილებას არ მიქმნის, რადგან ამ ფარული ჩანაწერების ავტორი ჩემში ნდობას არ იმსახურებს. ადამიანი, რომელიც საქმიან დიალოგებში შედიოდა პირებთან, მათ ფარულად იწერდა, რა გამოდის, რომ შანტაჟისთვის სჭირდებოდა. ამავე დროს, ვიცით, რომ ამ ადამიანს მართებს ვალი სახელმწიფო ბიუჯეტისა და კერძო ბანკის წინაშე.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს კორუფციულ სქემასთან დაკავშირებით, აქ მე ჩემი პოზიცია მაქვს. კორუფცია ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ისეთი რამეა, რომ აქ ყოველთვის უნდა გქონდეს კითხვები, ეჭვები, რადგან არსებობს ტენდერები, კომპანიები, რომლებიც ერთ დღეში იქმნება სწორედ ამ ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად და ა.შ. უამრავი საშუალებაა, რომ კორუფციულ სქემებში მონაწილეობდნენ პირები და კორუფცია, როგორც ასეთი, აქტუალური გახდეს.

***— თქვენ ამბობთ, რომ ეს ფარული ჩანაწერები ნდობას არ იმსახურებს, მაგრამ რამდენად შეძლო, ზემოქმედება მოეხდინა წინასაარჩევნო გარემოსა და შედეგზე?***

— შედეგებზე ვერ გეტყვით, რადგან ვისაც „ქართული ოცნების“ სჯეროდა, მას ისევ სჯერა და არ მგონია, ამ ფარულ ჩანაწერებს დიდი გავლენა მათზე მოეხდინა. ამიტომ, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი შედეგებს გლობალურად ვერ შეცვლის.

რაც შეეხება იმას, წინასაარჩევნო გარემოზე იქონია თუ არა გავლენა, ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრათ, რომ, რასაკვირველია, იქონია. თქვენ ვერ ნახავთ ალბათ ადამიანს, ვინც ამ ჩანაწერების შესახებ ინფორმაციას არ ფლობდეს ან კარგად არ იცოდეს ამის შესახებ. თუმცა, ერთი კია, ბოლო შეფასება, რომ ეს ჩანაწერები დამონტაჟებულია, რეკონსტრუირებულია, რაღაც პროცენტს ალბათ აზრს შეუცვლის, მაგრამ პირველი ემოციური შთაბეჭდილება ხშირ შემთხვევაში წარუშლელად რჩება.

ასეთი ემოცია კი, ხშირ შემთხვევაში, ბევრ რამეზე ახდენს გავლენას, მათ შორის, არჩევნებზეც.

# „დაუწესდეს სავიზო რეჟიმი იმ ქვეყნებს, საიდანაც ადგილი აქვს მასობრივ მიგრაციას“

გულიკო ბალაძე



არასამთავრობო ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს“ დამფუძნებელმა ზვიად ტომარაძემ და საინიციატივო ჯგუფმა პრემიერმინისტრის სახელზე სახელმწიფო კანცელარიაში პეტიცია წარადგინა. პეტიციით მოითხოვენ იმ ქვეყნებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებას, საიდანაც მიგრაცია გაიზარდა. საზოგადოების ნაწილმა ამ მოთხოვნით სახელმწიფო კანცელარიასთან აქციაც ჩაატარა და პრემიერ-მინისტრს მოსთხოვა, სანამ პარლამენტი შესაბამის კანონს მიიღებს, ზოგიერთ ქვეყანას დაუწესოს სავიზო რეჟიმი მასობრივი მიგრაციის შესაჩერებლად.

13 სექტემბერს პარლამენტმა საინიციატივო ჯგუფს გადასცა ბლანკები, კანონპროექტისთვის 30 ათასი ხელმოწერის შესაგროვებლად.

ზვიად ტომარაძის განცხადებით, რამდენიმე წელია მიმდინარეობს პროექტი „საქართველო ქართველების გარეშე“. ამიტომ მოითხოვენ სავიზო რეჟიმის დაწესებას იმ ქვეყნებისთვის, საიდანაც ადგილი აქვს მასობრივ მიგრაციას. პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტით უნდა აიკრძალოს ბინადრობის უფლების გაყიდვა ნებისმიერ თანხად.

„ახალმა თაობამ“ **ზვიად ტომარაძეს** რამდენიმე კითხვით მიმართა.

***— რა მოთხოვნები აქვს თქვენს ორგანიზაციას, საინიციატივო ჯგუფს?***

— ჩვენ გვაქვს ორი მთავარი მოთხოვნა. პირველი — დაუწესდეს სავიზო რეჟიმი იმ ქვეყნებს, საიდანაც ადგილი აქვს მასობრივ მიგრაციას. მეორე — აიკრძალოს მოკლევადიანი ბინადრობის უფლების გაყიდვა, რადგან ეს იწვევს ეთნო-კულტურული და რელიგიური ბალანსის დარღვევას. თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე ქართველები საკუთარ ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობაში აღმოვჩნდებით.

***— მასობრივი მიგრაცია ძირითადად რომელი ქვეყნებიდან ხდება?***

— მიგრაცია ძირითადად აზიის ქვეყნებიდან ხდება. ეს არის რამდენიმე აზიური ქვეყანა.

***— კონკრეტულად?***

— ირანი, საუდის არაბეთი, ერაყი. ვაგროვებთ ხელმოწერებს, 30 ათასი ხელმოწერის შეგროვების შემდეგ პარლამენტში წარვადგენთ კანონპროექტს, რომ ბინადრობის უფლების გაყიდვა კანონით აიკრძალოს. ხელისუფლების პრეროგატივაა, დააწესოს სავიზო რეჟიმი.

***— თბილისის მერმაც გააკეთა ამაზე განცხადება.***

— თბილისის მერმა განცხადება რომ გააკეთა, ეს არ არის ბინადრობის უფლების გაყიდვის აკრძალვა. ეს არის სამშენებლო კომპანიების ლობისტური კანონპროექტი. ამჟამად 35 ათასი დოლარის ქონების შესყიდვაა აუცილებელი ბინადრობის უფლების მოსაპოვებლად. ისინი აცხადებენ, გავაძვიროთ და 100 ათასი გავხადოთო. ეს ვერანაირ ბალანსს ვერ შეცვლის და საფრთხეებს ვერ უწამლებს. ეს ივლიანე წულაიას ინიციატივაა. ის გახლდათ სამშენებლო კომპანია „არქი ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორი. როდესაც პარლამენტში შევიდა, აღარ შეეძლო იმ თანამდებობაზე დარჩენა და, ალბათ, რომელიმე თავის ახლობელს გადააბარა. უნდათ, თავის მიერ აშენებული ბინები სარფიანად გაყიდონ.

***— თქვენ თუ გყავთ ლობისტური ჯგუფი პარლამენტში?***

— ძალიან ბევრი. საკანონმდებლო წინადადება 30 ათასიანი ხელმოწერით შევა. ამ კანონპროექტს პარლამენტში მხარდამჭერად ჰყავს „ოცნების“ კონსერვატიული ნაწილი.

# სამხრეთ კავკასია ამერიკა-რუსეთის პირდაპირი დაპირისპირების ზონაა

მარიამ მჭედლიშვილი

უცხოელი ანალიტიკოსების შეფასებით, ბოლო დროს გაძლიერდა აშშ-სა და რუსეთს შორის ბრძოლა კასპიისპირეთში, სამხრეთი კავკასია კი მათ შორის პირდაპირი დაპირისპირების ზონა გახდა.

კრემლი კავკასიაში ღიად აქტიურდება, ამერიკა კი ამ ეტაპზე ცდილობს, წინა ადმინისტრაციის დროინდელი პოზიციები მაინც შეინარჩუნოს.

ვაშინგტონისთვის ხელსაყრელია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების, პირველ რიგში, საქართველოს არა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროსტრუქტურებში გაწევრიანება, არამედ, პირდაპირი ორმხრივი ურთიერთობები. ამერიკას მაინცდამაინც არ უნდა კავკასიის ქვეყნების დაახლოება ევროპის სახელმწიფოებთან. მას ურჩევნია, კავკასიის ქვეყნებთან ორმხრივ საფუძველზე ითანამშრომლოს, ვიდრე ისინი ნატოში იხილოს.

საქართველოსთვის აშშ-სთან დაახლოება რუსეთის შემაკავებელი ფაქტორია, თვითონ აშშ კი ამაში თურქეთის შეკავების საშუალებას ხედავს. ანკარა ფეხმოკიდებულია კავკასიაში და ამას იყენებს ამერიკული სასანქციო პოლიტიკის დასაძლევად.

ადრე ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ კავკასიაში თეთრი სახლის ერთ-ერთი მიზანია, ხელი შეუშალოს რუსეთ-ირან-თურქეთის ალიანსს.

ამერიკას რეგიონში თავისი ენერგეტიკული მიზნებიც აქვს. ისინი არ ემთხვევა გერმანიისა და საფრანგეთის ენერგოპოლიტიკას.

გერმანიის კანცლერის კავკასიური ტურნე რუსეთთან შეთანხმებულ ენერგოპროექტებს უკავშირდებოდა. კავკასიაში, ყოველ შემთხვევაში, აზერბაიჯანში ვიზიტს გეგმავს ასევე საფრანგეთის პრეზიდენტი.



დონალდ ტრამპთან დაძაბული ურთიერთობების მქონე ემანუელ მაკრონს მიაჩნია, რომ გაერომ უნდა შეიმუშაოს მსოფლიო წესრიგის ახალი მოდელი. ის უნდა ემყარებოდეს სახელმწიფოების სუვერენიტეტსა და რეგიონულ თანამშრომლობას.

დასავლეთში თანხმდებიან, რომ კრემლი თავის გავლენის გაფართოებისთვის იყენებს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. მათთვის უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება და ამასთან დაკავშირებული კონფლიქტი მართლმადიდებელ სამყაროში მოსკოვსა და დასავლეთს შორის გავლენებისთვის ბრძოლის ნაწილია.

უკრაინის უმაღლესი რადას სპიკერი, რომელიც ამ დღეებში თბილისში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია მეორეს შეხვდა, აცხადებს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მხარს უჭერს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას.

კონსტანტინეპოლის პატრიარქს თავისი მხარდაჭერა უკვე გამოხატული აქვს. კონსტანტინეპოლის ეგზარქოსები კიევში იმყოფებიან, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა.

მოსკოვისა და კონსტანტინეპოლის დაპირისპირებას უკვე მოჰყვა შედეგები ევროპაში. მაგალითად, ვენაში ავსტრიის მართლმადიდებელი ეპისკოპოსების კონფერენციაზე არ იმყოფებოდნენ რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები. მასში მონაწილეობა მიიღეს ანტიოქიის, კონსტანტინეპოლის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის სასულიერო პირებმა.

მართლმადიდებელი ეპისკოპოსების კონფერენციები ტრადიციულია გერმანიისთვის. მოსალოდნელია, რომ მას აღარ დაესწრებიან დელეგაციები მოსკოვის საპატრიარქოდან და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან საზღვარგარეთ.

ზოგიერთი ავტოკეფალური ეკლესია მიიჩნევს, რომ უკრაინის საკითხი უნდა გახდეს შეკრებისა და მსჯელობის საგანი.

ამერიკული მედია ყურადღებას ამახვილებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მჭიდრო კავშირზე სერბეთის რელიგიურ და პოლიტიკურ ელიტასთან.

ამერიკელი მიმომხილველების თქმით, რუსეთს სერბეთში პოლიტიკური, რელიგიური, სამხედრო და ეკონომიკური გავლენა აქვს. პარადოქსულია, რომ ამისთვის მოსკოვი ბევრად ნაკლებ თანხებს ხარჯავს, ვიდრე დასავლეთი სერბეთში. რუსეთი ინარჩუნებს არა მარტო ოფიციალური ბელგრადის, არამედ, უბრალო სერბების კეთილგანწყობას.

# მერიამ მშენებლობის ნებართვა არ უნდა გასცეს, თუ დეველოპერს არ ექნება საბანკო გარანტია მშენებლობის დასრულებაზე



დეველოპერული კომპანია GDG+-ის დამფუძნებელი ბეჟან წაქაძე საქართველოს მთავრობას საკანონმდებლო ინიციატივას სთავაზობს, რომლის მიხედვითაც, თბილისის მერიამ მშენებლობის ნებართვა არ უნდა გასცეს, თუ დეველოპერს არ ექნება საბანკო გარანტია მშენებლობის დასრულებაზე.

წაქაძე თვლის, რომ საბანკო გარანტიის წარდგენის აუცილებლობა დედაქალაქში დაუსრულებელი მშენებლობების პრობლემას მოაგვარებს.

– ბოლო პერიოდში 4.000 მოსახლეა უკვე დაზარალებული. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ სახელმწიფო არ მიიღებს სპეციალურ კანონს მშენებლობის შესახებ. როგორც ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, აუცილებელია ჩვენთანაც იყოს მშენებლობის ნებართვის დროს საბანკო გარანტიის წარდგენა. არა ისეთი გარანტია როგორიც სვეტს ჰქონდა წარდგენილი, არამედ სერიოზული საბანკო გარანტია, რომლის მიხედვითაც ბანკი აიღებს პასუხისმგებლობას, რომ ეს პროექტი განხორციელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ რეგულაციებით, რაც დღეს არსებობს, ქვეყანაში კიდევ ბევრი „სვეტი“ და „ცენტრპოინტი“ გამოჩნდება. ეს იქნება გამოსავალი, რომელიც ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს და მოსახლეობას დაიცავს „გადაგდებისგან“. ბაზრიდან კი ე.წ. მშენებლები გავლენ და დარჩებიან მხოლოდ ისინი, ვინც პატიოსნად იმუშავებენ, – აცხადებს ბეჟან წაქაძე.

აღნიშნულ საკითხზე საუბარს წაქაძე თბილისის მერთან შეხვედრაზეც აპირებს. GDG+-ის ამბობს, რომ ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა იზრდება, შეჩერებული მშენებლობის ყურება კი არავის მოსწონს. მისი თქმით, სწორედ ამიტომაა საჭირო ახალი რეგულაციების მიღება. ბეჟან წაქაძე „სვეტის“ გარშემო განვითარებულ მოვლენებსაც ეხმაურება.

– პირველად, როდესაც „სვეტის“ პირობები წავიკითხე, ვთქვი, რომ ეს კომპანია კარგად ვერ დაამთავრდება თავის საქმიანობას, რადგან 10-წლიანი უპროცენტო განვადება ჰქონდათ. ეს თანხა იმდენია, რომ 10 წლის განმავლობაში ინფლაცია და პროცენტი ჭამს. ჩვენს ქვეყანაში დეველოპერები არ არიან მილიარდელები. ჩვენ გვაქვს გათვლილი თითოეული თეთრი და შემოსული თანხა გეგმაზომიერად თუ არ გამოვიყენეთ, მშენებლობები დაუსრულებელი დარჩება, – განაცხადა ბეჟან წაქაძემ.

შეგახსენებთ, რომ სამშენებლო კომპანია „სვეტის“ დამფუძნებელი გივი ჯიბლაძე და ამავე კომპანიის დირექტორი თორნიკე ჯანელიძე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 3 ოქტომბერს დააკავა. საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, „სვეტის“ ხელმძღვანელი პირების მიმართ გამოძიება დეველოპერული კომპანია „სვეტის“ მენაშენეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე დაიწყო. საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ მხოლოდ ერთ ობიექტზე, ბრალდებულები გივი ჯიბლაძე და თორნიკე ჯანელიძე მოტყუებით დაეუფლნენ მენაშენეთა კუთვნილ თანხას 3.356.385 ლარის ოდენობით.

# საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება

2019 წლის ბიუჯეტის მიხედვით, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის დაფინანსება, 2018 წლის გეგმასთან შედარებით, 50 მლნ ლარით იზრდება. როგორც ბიუჯეტის პროექტში ვკითხულობთ, მომავალი წელს აღნიშნული პროგრამისთვის 754.0 მლნ ლარია გათვალისწინებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი ბიუჯეტით ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება გაორმაგდა და ის 20 მლნ ლარს შეადგენს.

საქართველოში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა 2013 წელს ამოქმედდა და მას სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს. მისი ეფექტური და შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის თანხების მოძიება კი თავად დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვალდებულებაა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება, შესრულებული ხარჯები მაინც ყოველთვის მნიშვნელოვნად აჭარბებს გეგმას. სწორედ ამიტომ, ბიუჯეტის დაგეგმვისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ისეთი სერიოზული ფაქტორების არსებობა, როგორიც სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნისა და ჯანდაცვის ხარჯების ზრდაა.

2016 წელს საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტი 570 მლნ ლარით განისაზღვრა, მაგრამ პროგრამის 31 დეკემბრამდე უხარვეზოდ მიღწევისთვის ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა და წლის ბოლომდე დამატებითი თანხების მოძიება გახდა საჭირო. საბოლოო ჯამში კი პროგრამის რეალურმა ხარჯმა 623 მლნ ლარი შეადგინა.

2017 წელს დაფინანსების გეგმა 660 მლნ ლარი იყო, თუმცა პროგრამის შესრულებულმა ხარჯმა 710 მლნ ლარს მიაღწია. წელს პროგრამის ბიუჯეტი, პირველადი ვარიანტით, 704 მლნ ლარია.

ამგვარი გამოცდილებიდან გამომდინარე, საინტერესოა, რამდენად ეფექტურად ახერხებს სამინისტრო წელს პროგრამის ხარჯების შეკავებას და იქნება თუ არა საკმარისი მომავალი წლისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი? ჩვენს კითხვებს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ანალიტიკოსი, **გოგა თუშურაშვილი** პასუხობს.



***– რამდენად ადეკვატურია მომავალი წლის ბიუჯეტის 50 მლნ ლარის ოდენობით მატება ?***

– პროგრამის ამოქმედების დღიდან, მნიშვნელოვანი პრობლემები შეინიშნება პროგრამის წლიური ბიუჯეტის დაგეგმვისას. სახელმწიფო წლების განმავლობაში ვერ უზრუნველყოფდა ხარჯების ეფექტიან დაგეგმვას, რაც დამატებითი სახსრების მოძიების აუცილებლობას წარმოშობდა. წლების განმავლობაში პროგრამის გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული განსხვავებები, რა თქმა უნდა, აჩენს კითხვებს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული მაჩვენებლის შესაბამისობასთან დაკავშირებით. კერძოდ, კვლავ არის კითხვები, რამდენად არის ამ მაჩვენებელში გათვალისწინებული, ჯანდაცვაზე ხარჯების ზრდის ტენდენციები თუ პროგრამის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები.

***– რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს წელს ხარჯების შეკავება და როგორ ფიქრობთ, მოუწევს თუ არა სამინისტროს დამატებითი სახსრების მოძიება?***

– მიმდინარე წლის ბიუჯეტის გეგმით მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამისთვის გათვალისწინებული იყო 704 მილიონი ლარი, რაც მოგვიანებით დაზუსტდა და ამჟამად 9 მლნ ლარით მეტს, 713 მილიონ ლარს შეადგენს. სახელმწიფო ხაზინის ოპერატიული ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით ათვისებულია დაახლოებით ამ თანხის 77,5%. ეს მაჩვენებელი, არ გამორიცხავს რომ წლის ბოლოს სამინისტროს კვლავ მოუწიოს გარკვეული სახსრების მოძიება.

***– რა ხარვეზები იკვეთება პროგრამის ეფექტური მართვის მიმართულებით?***

– ხარჯების რაციონალური განკარგვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ პროგრამის ეფექტურ მართვაზე. ზოგადად პროგრამის მასშტაბები, სამედიცინო დაწესებულებების სრულფასოვანი კონტროლის შეუძლებლობის მნიშვნელოვან რისკებს წარმოშობს. მაგალითად, გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების რიცხვის მკვეთრი მატებები ბადებს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კარგად უმკლავდება სააგენტო, სამედიცინო დაწესებულებების მიერ დამატებითი ანაზღაურების მიღების მოტივით, პაციენტის დიაგნოზის ხელოვნურად დამძიმების შემთხვევების მონიტორინგს.

***– პროგრამის ამოქმედებიდან 6 წლის შემდეგ, უკვე დღეს, რა არის მისი მთავარი გამოწვევები?***

– მოქმედებიდან 6 წლის შემდეგაც, ყველაზე პრობლემურად სახელმწიფო მხრიდან პროგრამის განვითარების გრძელვადიანი ხედვის არარსებობა უნდა შეფასდეს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებისას, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი სტრატეგიისა და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის არსებობის პირობებში, მეტი სტაბილურობა ექნებოდა როგორც პროგრამას, ასევე, კერძო სადაზღვევო სექტორს. პროგრამის ეფექტური მართვის თვალსაზრისით, კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა სახელმწიფო სახსრების განკარგვის მონიტორინგის არსებული სისტემა, რომელიც მრავალ კითხვის ნიშანს ბადებს. კონკრეტულად, რამდენად სრულფასოვნად არის უზრუნველყოფილი სამედიცინო დაწესებულებების კეთილსინდისიერი საქმიანობა.

**კომერსანტი**

# ყაზტრანსგაზ–თბილისი“ ქართულმა ბიზნესჯგუფმა იყიდა

კომპანია WALTBAY LTD-მ ყაზახურ მხარესთან, წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში მიმდინარე, მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა.

კომპანია WALTBAY LTD-მ, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული მსხვილი ქართული ბიზნესჯგუფის – შპს „სი ბი ეს ჯგუფის“ ნაწილს წარმოადგენს, უკვე მოაწერა ხელი ხელშეკრულებას და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ 100 %-იანი წილის მფლობელი გახდა.




– საზოგადოების ინფორმირებისთვის კომპანია საჭიროდ თვლის განმარტოს, რომ ოფშორში რეგისტრირებული კომპანიის მეშვეობით წილის შეძენა ყაზახური მხარის მიერ გასხვისების პროცესის ტექნიკური ნაწილის გამარტივების გამო მოხდა და ჯგუფი შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წილის საქართველოში რეგისტრირბულ კომპანიაზე გადმოცემას უახლოვეს მომავალში განახორციელებს.

როგორც მოგეხსენებათ, 2017 წლიდან, საქართველოს მთავრობასა და ყაზახურ კომპანიას შორის საერთაშორისო არბიტრაჟში დავა მიმდინარეობდა. დავის საგანი, ყაზახური მხარის მოთხოვნის მიხედვით, ზიანის ანაზღაურება გახლდათ, რომელიც 486 მილიონ ლარს აჭარბებდა. ამასთან ერთად, იზრდებოდა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანება, რომელმაც 96 მილიონი ლარი შეადგინა. დამატებით, 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“, მფლობელი ყაზახური კომპანიების წინაშე, 347 მილიონ 721 ათას 491 ლარის ოდენობის დავალიანება ერიცხებოდა.

კომპანია WALTBAY LTD-ს მიერ ყაზახი ბიზნესმენებისთვის, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ნასყიდობათვის, წაყენებული წინაპირობა გახლდათ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებებისგან გათავისუფლება და ყაზახი კრედიტორების მხრიდან „ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის“ ნასესხები 347 მილიონ ლარზე მეტი დავალიანების მოთხოვნის უფლების WALTBAY LTD-სათვის დათმობა, რაზეც ყაზახურმა მხარემ თანხმობა განაცხადა. თუმცა, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ, „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანების პატიების სანაცვლოდ, ყაზახური მხარისგან საერთაშორისო არბიტრაჟში არსებული საქმის საქართველოს სასარგებლოდ მორიგებით დასრულება, ხოლო კომპანია WALTBAY LTD-ს დათმობილ 347 მილიონ ლარზე მეტ მოთხოვნაზე უარის თქმა მოითხოვა, რაც საქართველოს მთავრობის განმარტებითვე, მომხმარებელთა დაცვას ემსახურებოდა. კომპანია WALTBAY LTD-მ და ყაზახმა კრედიტორებმა საქართველოს მთავრობის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე თანხმობა განაცხადეს, რის სანაცვლოდაც შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გათავისუფლდება სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებისგან.

კომპანია WALTBAY LTD მზადაა მის წინაშე არსებული გამოწვევებისა და დაკისრებული სოციალური პასუხისმგებლობისათვის, რაც მოსახლეობის ბუნებრივი აირით ხარისხიან და უსაფრთხო მომარაგებას გულისხმობს, – ნათქვამია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საზოგადოება

# დავით სერგეენკო: „სალომე ზურაბიშვილისთვის თანხის გადარიცხვა ექიმების პირადი გადაწყვეტილებაა“

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, მედიის საშუალებით გაიგო, რომ მედიკოსების ნაწილმა სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გარკვეული რაოდენობის თანხა შესწირა.

როგორც ჟურნალისტებს სერგეენკომ განუცხადა, ზურაბიშვილს თანხა ექიმებმა პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე გადაურიცხეს.



– იმის შესახებ, რომ ექიმებმა თანხა ჩარიცხეს, მედიიდან გავიგე. ის, რომ მათ ვინმე აიძულებდა, ამის შესახებ არაფერი ვიცი. ეს არის მათი პირადი გადაწყვეტილება და ამის დასაზუსტებლად ვერაფერს გეტყვით, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

შეგახსენებთ, რომ ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის ოქტომბრის თვის შემომწირველთა რიგებში ექიმებიც არიან.

სამართალი

# „გრიგალაშვილმა დაკითხვისას დაადასტურა, რომ მოკლა ანა ნაცვლიშვილი. ასევე მოყვა თუ როგორ მოიცილა სისხლიანი დანა“

თემქაზე მოკლული 20 წლის ანა ნაცვლიშვილის მკვლელობაში ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილის სასამართლო პროცესზე გამომძიებლები გამოკითხეს.

როგორც გამომძიებელმა ლაშა ტუხაშვილმა მოსამართლის წინაშე აღნიშნა, გამოძიების ეტაპზე დაკითხვისას ლადო გრიგალაშვილმა განაცხადა, რომ მან მოკლა ანა ნაცვლიშვილი.

გამომძიებლის ინფორმაციით, ჩვენების მიცემის შემდეგ თავად გრიგალაშვილმა მოაწერა დაკითხვის ოქმს ხელი.

– მე დავკითხე ამჟამად უკვე ბრალდებული ლადო გრიგალაშვილი და მან დაკითხვისას დაადასტურა, რომ უშუალოდ მან მოკლა ანა ნაცვლიშვილი. ასევე მოყვა, თუ როგორ მოიცილა დანაშაულის იარაღი, სისხლიანი დანა, – განაცხადა გამომძიებელმა.

საქმის განხილვა ხმაურით მიმდინარეობდა. მოკლული ანა ნაცვლიშვილის ახლობლებსა და ოჯახის წევრებში გაღიზიანება გამოიწვია ბრალდებულის ადვოკატის ნაირა ოტიაშვილის შეკითხვამ.

ბრალდების მხარე ანა ნაცვლიშვილისთვის მიყენებულ ჭრილობებზე საუბრობდა, როდესაც ადვოკატმა ბრალდების მხარეს გაამეორებინა, თუ რამდენი ჭრილობა ჰქონდა მოკლულს მიყენებული, რაზეც დაზარალებული მხარე აღშფოთდა.

მოსამართლემ დამსწრე პირებს სხდომათა დარბაზი დაატოვებინა და პროცესი დახურულ რეჟიმში გაგრძელდა.

შეგახსენებთ, თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილს ყელის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. პოლიციამ ნაცვლიშვილის მკვლელობის ბრალდებით მისი შეყვარებული, ლადო გრიგალაშვილი მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

## „მოქალაქე ითხოვდა, სახლში მივალ, წამალს დავლევ და გამოვალო, რაზეც პატრულმა უარი უთხრა, ადამიანი ცუდად გახდა და გარდაიცვალა ადგილზე“

### რა მოხდა ბათუმში

7 ოქტომბერს ბათუმში ახალსოფლისკენ მიმავალი ავტომანქანა საპატრულო პოლიციამ გააჩერა გადასამოწმებლად. მოსახლეობის თქმით, მძღოლმა საპატრულოს თანამშრომლებს სთხოვა, გაეშვათ, რომ სახლში მისულიყო და წამალი დაელია, რაზეც მას უარი უთხრეს და მოკლე



ხანში მოქალაქე გარდაიცვალა. მოსახლეობა მომხდარზე პასუხისმგებლობას საპატრულოს ეკიპაჟს აკისრებს. ახალსოფლის ხიდთან მოსახლეობამ მაგისტრალი გადაკეტა. ისინი საპატრულო პოლიციის მოქმედებას აპროტესტებდნენ.

– სახლში ბრუნდებოდა ახალგაზრდა კაცი ავტომანქანით და პატრულმა გააჩერა გადამოწმების მიზნით. მოქალაქე ითხოვდა, სახლში მივალ, წამალს დავლევ და გამოვალო, რაზეც პატრულმა უარი უთხრა, ადამიანი ცუდად გახდა და გარდაიცვალა ადგილზე, – უთხრა „ბათუმელებს“ ახალსოფელში მცხოვრებმა გოჩა სურგულაძემ. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ინფორმაციით, ადგილზე მისულ ექიმებს მამაკაცი უკვე გარდაცვლილი დახვდათ, თუმცა ოჯახის მოთხოვნით იგი რეფერალურ ჰოსპიტალში გადაასვენეს. შსს-მ მომხდარზე ასეთი განცხადება გააკეთა:

„მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს ბათუმში, ახალსოფელში საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა სიმთვრალე-სიფხიზლეზე გადამოწმების მიზნით მსუბუქი ავტომობილი შეაჩერა. მანქანის მძღოლი, 1957 წელს დაბადებული ა.ლ. ალკოტესტით შემოწმდა. დადგინდა, რომ ფხიზელი მართავდა საჭეს, რის შემდეგაც მძღოლმა ავტომანქანით გადაადგილება განაგრძო.

დაახლოებით 15-20 წუთში მოქალაქეებმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს დახმარებისთვის მიმართეს. ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ა.ლ. უგონო მდგომარეობაში დახვდათ. ის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ფაქტზე დაწყებულია გამოძიება საქართველოს სსკ-ის 115 მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დასადგენად დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. პოლიციელების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტის შესწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამაც დაიწყო. გამოძიების დასრულებამდე პატრულ-ინსპექტორებს სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუჩერდათ.

## ბარათაშვილის ქუჩაზე შენობიდან მინა ჩამოვარდა



გუშინ, 8 ოქტომბერს, თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე შენობიდან შუშა ჩამოვარდა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. 2018 წლის 28 თებერვალს, ამავე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შენობიდან შუშის ჩამოვარდნას 14 წლის ასლან მამედოვის სიცოცხლე ემსხვერპლა.

შემთხვევის გახმაურების შემდეგ ადგილზე მივიდა რადიო თავისუფლების კორესპონდენტი, რომელსაც გამვლელებმა უთხრეს, რომ ქუჩაზე ჩამოყრილი ნამსხვრევები არა ფანჯრის ჩამოვარდნისას, არამედ დაზიანებული შუშის გამოცვლის შედეგად გაჩნდა.

## ვახტანგ ბუცხრიკიძე: „როგორ გაიტანეს თიბისი ბანკიდან 4 მილიონი ლარი“

საქმე გვაქვს სიცრუეზე დაფუძნებულ ბრალდებებთან. ტრანზაქციები შესრულებულია საქართველოს კანონმდებლობის და საბანკო პროცედურების სრული დაცვით, – ამის შესახებ „თიბისი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლის, ზაზა ოქუაშვილის ბრალდებების საპასუხოდ განაცხადა.

მისი ინფორმაციით, თანხის ჩარიცხვა განხორციელდა შვეიცარიიდან 20 აპრილს, ხოლო კომპანიის დირექტორის მიერ თანხის გატანა მოხდა 22 აპრილს.

– ბოლო პერიოდის განმავლობაში უსამართლო ბრალდებები ხშირად გაისმის პირადად ჩემ მიმართ, ასევე „თიბისი ბანკის“ სახეების მიმართ, მაგრამ ჩვენ გვაქვს თმენის ვალდებულება და არასდროს ვრეაგირებთ ამ ბრალდებებზე. მეორე მხრივ, ვიცავთ კონფიდენციალურობას. მაგრამ გუშინ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ბატონმა ოქუაშვილმა ჩვენი თანამშრომლები მოიხსენია.

მე მოგიყვებით იმ ტრანზაქციის შესახებ, რომელიც 2 კვირის განმავლობაში სალაპარაკო თემა გახდა. ეს კომპანია არის ქართული და დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში 2016 წლის 19 აპრილს ყველა წესის დაცვით. ამავე დღეს იუსტიციის სახლის ფილიალში გაიხსნა საბანკო ანგარიში. წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით „თიბისი ბანკს“ იდენტიფიცირებული ჰყავს კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები.

რაც შეეხება ტყუილებს სამუშაო საათებთან დაკავშირებით, მარჯანიშვილის ფილიალი გახსნის დღიდან მუშაობს დილის 09:00 საათიდან საღამოს 21:00 საათამდე. ტყუილია, რომ ამ ტრანზაქციის განხორციელებისათვის სპეციალურად მოხდა ფილიალის გახსნა. კლიენტმა თანხა ჩარიცხა 2016 წლის 20 აპრილს შვეიცარიიდან. 21 აპრილს ტრანზაქცია დაწყებულია 19:22 საათზე, ხოლო დასრულებულია 19:43 საათზე. კომპანიის დირექტორის მოთხოვნით, შესაბამისი თანხა მოვამზადეთ და ჩვენი თანამშრომლები დაუკავშირდნენ კლიენტს, რომ თანხა მზად იყო გასაცემად. ეს იყო სატელეფონო კავშირის მიზეზი. რეალურად თანხა გაიცა 22 აპრილს 13:01 საათზე.

ანუ ანგარიში გახსნილია და მომსახურება გაწეულია პროცედურების სრული დაცვით. სამწუხაროდ, ტყუილს აქვს ადგილი და ინტერპრეტაცია მოხდა სხვანაირად, – განაცხადა ბუცხრიკიძემ.

მისივე ინფორმაციით, ის ოთარ ფარცხალაძეს არ იცნობს, ხოლო რაც შეეხება ოქუაშვილის განცხადებას თანხის გატანამდე ლევან ყიფიანსა და ვახტანგ ბუცხრიკიძეს შორის სატელეფონო კავშირის შესახებ, ბუცხრიკიძე აღნიშნულს სიცრუეს უწოდებს.

– მე პირადად არ ვიცნობ ბატონ ფარცხალაძეს. რაც შეეხება გიორგი გახარიას, ის მე გავიცანი, როგორც ბიზნესომბუდსმენი. ხოლო ლევან ყიფიანს ვიცნობ, მაგრამ მასთან არ მაქვს მეგობრული ურთიერთობა. რაც შეეხება ბატონი ოქუაშვილის ბრალდებას სატელეფონო ზართან დაკავშირებით, მისგან განსხვავებით, მე არასდროს ვაწარმოებ ჩემი ბიზნესშეხვედრების და სატელეფონო საუბრების ჩაწერას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ ტრანზაქციას წინ არ უძღოდა არანაირი სატელეფონო კომუნიკაცია ჩემსა და ლევან ყიფიანს შორის.

საქმე გვაქვს სიცრუეზე დაფუძნებულ



ბრალდებებთან. ტრანზაქციები შესრულებულია საქართველოს კანონმდებლობის და საბანკო პროცედურების სრული დაცვით. 2016 წელს ამ ტრანზაქციის შესახებ ინფორმირებულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, – განაცხადა მან.

მისი ინფორმაციით, აღნიშნული კომპანიის მიერ „თიბისი ბანკში“ მოხდა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა: ანგარიშის გახსნის განაცხადი, ე.წ. „იცნობდე შენს კლიენტს“ კითხვარი, ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ორივე დირექტორის მიერ ხელმოწერილი თვითდეკლარაცია, კომპანიის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიის დამფუძნებელი კომპანიის გადაწყვეტილება, კომპანიის წესდება, დამფუძნებელი კომპანიის წესდება, დაფუძნებული კომპანიის მიერ გაცემული მინდობილობა, დაფუძნებული კომპანიის სარეგისტრაციო სერთიფიკატი, დამფუძნებელი კომპანიის დირექტორთა კრების ოქმი, დამფუძნებელი კომპანიის აქციათა რეესტრი და მფლობელების სერტიფიკატი, კომპანიის აქციათა ამონაწერი, აქციათა სერთიფიკატი, კომპანიის დირექტორთა, ოფიცერთა და აქციონერთა რეესტრით კერძო რეგისტრატორის მიერ გაცემული სტატუსი სერთიფიკატი და პირადობის მოწმობის ასლები.

## სოსო ბარათაშვილი: „პაატა ბურჭულაძის მეუღლეზე საქმე არის შეკერილი“

### პროკურორი გულუაშვილი: „ამომწურავი პასუხები ვერ მივიღეთ“



გუშინ, 8 ოქტომბერს, პაატა ბურჭულაძის მეუღლე ანგელა ვასილენკო თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოიკითხა.

– საქმე არის შეკერილი და პროკურატურას არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია, – ამის შესახებ ანგელა ვასილენკოს ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა გამოკითხვის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, პაატა ბურჭულაძის და მისი მეუღლის მიმართ გადადგმული ნაბიჯები კონკრეტული პირის ინტერესებს ემსახურება. ადვოკატს არ დაუკონკრეტებია, ვის გულისხმობდა.

სოსო ბარათაშვილმა ასევე ისაუბრა იმ საკითხებზე, რომლებითაც გამოკითხვის პროცესში გამომძიებლები დაინტერესდნენ.

– ყველა კითხვას, რომლებიც დაისვა ანგელა ვასილენკოს მისამართით, გაეცა ამომწურავი პასუხი. შეკითხვები შეეხებოდა ვასილენკოს ფუნქციებსა და საქმიანობას ფონდში, ასევე თუ რა თანხებით და რა მიზნით მოხდა მისი მგზავრობის დაფინანსება და სასტუმროს ხარჯების დაფარვა. ანგელა ვასილენკომ გასცა პასუხი, რომ ის ფონდში ძალზე შრომატევად საქმეს ასრულებდა. აწარმოებდა მოლაპარაკებას როგორც სპონსორებთან, ასევე მუსიკოსებთან, რომელთაც გამართეს საქველმოქმედო კონცერტები. ყველა ამ ღონისძიებაში ანგელა ვასილენკო იღებდა აქტიურ მონაწილეობას.

ამ ყველაფერს სჭირდებოდა დაფინანსება. ეს არის მგზავრობის ხარჯები, ასევე, როდესაც ჩამოდიოდნენ უცხოელი სტუმრები, ქირაობდა სასტუმროს. არანაირი გაფლანგვა აქ არ არის. მოსახლეობის მიერ შეწირული თითოეული თეთრი მოხმარდა ბენეფიციარებისთვის ბინების შეძენას.

2004-დან 2015 წლის ჩათვლით ფონდში საქველმოქმედო ხასიათით მუშაობდა. 2016-1017 წლებში კი გარკვეული საქმიანობის საზღაურად იღებდა თანხას თვეში 2.500 ლარს.

საქმე არის შეკერილი და პროკურატურას არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია. საქმე უკავშირდება კონკრეტული პირების ინტერესებს, ვისაც გააჩნია საქართველოში ძალაუფლება, რომ პროკურატურაზე მოახდინოს ზეგავლენა, – განაცხადა სოსო ბარათაშვილმა.

მისივე თქმით, გამოძიებამ ვასილენკოს გამოკითხვა დაასრულა და ისინი უახლოეს მომავალში საგამოძიებო უწყებაში დაბარებას აღარ ელოდებიან.

* * *

– დაკითხვამდე ჩვენ არაერთი კითხვა გაგვაჩნდა ფონდის თანხების ხარჯვის მიზნობრიობასთან დაკავშირებით და, სამწუხაროდ, გამოკითხვის შემდეგ ამ კითხვებზე პასუხები ვერ მივიღეთ.

ამის შესახებ „ივნანას“ საქმის პროკურორმა ამირან გულუაშვილმა ჟურნალისტებს ანგელა ვასილენკოს გამოკითხვის დასრულების შემდეგ განუცხადა.

პროკურორის განმარტებით, ის პასუხები, რომლებიც პაატა ბურჭულაძის მეუღლემ გასცა პროკურორებს, იყო არადამაჯერებელი. რაც შეეხება საკითხს – ხომ არ იძლევა არსებული მასალები კონკრეტული პირისთვის ბრალის წარდგენის საფუძველს, პროკურორმა ამირან გულუაშვილმა განმარტა, რომ ამ საკითხზე პასუხს ვერ გასცემს, ვიდრე საქმეზე გამოძიება არ დასრულდება და მტკიცებულებები არ გაანალიზდება.

– გამოძიებას ჰქონდა არაერთი კონკრეტული შეკითხვა მოწმე ანგელა ვასილენკოსთან მიმართებაში, თუმცა, ამ კითხვებზე ვერ მივიღეთ დამაჯერებელი და კონკრეტული პასუხები. მოწმემ ზოგადად გაიხსენა მისი საქმიანობა, ზოგადად ისაუბრა იმ ფუნქციასთან მიმართებაში, რაც ჰქონდა ფონდში, თუმცა კონკრეტული სამუშაოები ვერ გაიხსენა.

ვასილენკომ მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდთან მიმართებაში მოგვაწოდა ინფორმაცია, კერძოდ, სასტუმროში პაატა ბურჭულაძისა და მისი ცხოვრების ხარჯების საკითხზე.

მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ საკუთრებაში თბილისში იყო კერძო სახლი, ამ ბინაში ცხოვრობდა მოხუცი ქალბატონი, რომელთან ერთად ცხოვრებაც არ იქნებოდა მათთვის მოსახერხებელი. ასევე სტუმრების საუზმე გულისხმობდა პაატა ბურჭულაძის და მის დასწრებას. სწორედ აქედან გამომდინარე განმარტა მან სასტუმროში ცხოვრების ხარჯები.

ჩვენ ვერ მოვისმინეთ, რა მიზანს ახორციელებდა უცხოეთში ვიზიტების დროს.

დაკითხვამდე ჩვენ არაერთი კითხვა გაგვაჩნდა ფონდის თანხების ხარჯვის მიზნობრიობასთან დაკავშირებით და, სამწუხაროდ, გამოკითხვის შემდეგ ამ კითხვებზე პასუხები ვერ მივიღეთ.

გამოძიება რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. ფაქტობრივად, დასრულებულია მტკიცებულებების მოპოვების პროცესი. ვიდრე მტკიცებულებათა მოპოვება და მათი ანალიზი არ დასრულდება, შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე ვერ ვისაუბრებ, – განაცხადა ამირან გულუაშვილმა.

## ჯიქიაზე კორპუსის ლიფტი მოწყდა

### 4 კაცზე გათვლილ ლიფტში 8 ირანელი და 1 ქართველი იჯდა



6 ოქტომბერს, ღამით, ჯიქიაზე კორპუსის ლიფტი მოწყდა, რომელშიც ირანის 8 და საქართველოს 1 მოქალაქე იმყოფებოდა.

შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა.

ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ ინფორმაცია ერთ-ერთმა თვითმხილველმა მიაწოდა.

როგორც მან აღნიშნა, ლიფტს წონის მუხრუჭი არ უმუშავებდა და ლიფტის ჩავარდნა სწორედ ამან გამოიწვია.

– შემთხვევა გუშინ ღამით მოხდა. ლიფტი 4 ადამიანზეა გათვლილი. თუმცა, მაგ დროს 9 ადამიანი იმყოფებოდა. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ლიფტს წონის მუხრუჭი არ ჰქონია. უბედური შემთხვევაც სწორედ ამიტომ მოხდა, – აღნიშნა თვითმხილველმა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**ნათელა სამუშია:** თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## მადლენ ოლბრაიტი: „ტრამპი პუტინისთვის ნამდვილი საჩუქარია“



აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა ქვეყნის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკა გააკრიტიკა.

– ჩემი აზრით, მას პუტინთან ძალიან მჭიდრო, ახლობლური ურთიერთობა აქვს, რასაც რუსეთი ჩვენი დემოკრატიის შესასუსტებლად და მოკავშირეებთან ჩვენი ურთიერთობების გასაფუჭებლად იყენებს. ტრამპი პუტინისთვის ნამდვილი საჩუქარია, – განაცხადა ოლბრაიტმა.

მისივე თქმით, კრიტიკას იმსახურებს ტრამპის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესიც.

– გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უბრალოდ ჩამოშლილია. ტრამპი ამბობს და აკეთებს რაღაცას, შემდეგ ვიღაც გამოდის და გვიხსნის, თუ რისი თქმა სურდა პრეზიდენტს, – აღნიშნა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა.

## სად გაქრა ჯამალ ჰაშოგი?



თურქეთში საუდის არაბეთის ჟურნალისტი ჰაშოგი გაუჩინარდა. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ის საუდის არაბეთის საელჩოსკენ გაემართა, რათა ქორწინებასთან დაკავშირებული საბუთები მიეღო. ამის შემდეგ ჟურნალისტი აღარავის უნახავს.

თურქეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ, შესაძლოა, ჰაშოგი საუდის არაბეთის საელჩოს ტერიტორიაზე მოკლეს, გვამი კი გადამალეს.

საუდის არაბეთის მთავრობა ამას სისულელეს უწოდებს.

ჟურნალისტი კი უკვალოდ გაქრა.

## ირანში ქვიშის ქარიშხლის შედეგად 140 ადამიანი დაშავდა



ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთში ქვიშის ქარიშხლის შედეგად სულ მცირე 140 ადამიანი დაშავდა. ამის შესახებ სააგენტო ირნას კრიზისული საბჭოს ხელმძღვანელმა აბდორაჰმან შაჰნავაზიმ განუცხადა.

მისი ინფორმაციით, სისტანის და ბელუჯისტანის პროვინციაში სუნთქვასთან, მხედველობასთან და გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სამედიცინო დაწესებულებებს დახმარების თხოვნით 145-მა ადამიანმა მიმართა, 27 მათგანი მკურნალობას სხვადასხვა საავადმყოფოში აგრძელებს.

შაჰნავაზის განცხადებით, ქარის სიჩქარე საათში 104 კილომეტრს აღწევდა.

# ლატვია არჩევნების შემდეგ

## მოსალოდნელია მემარჯვენე კოალიციის შექმნა

ლატვიაში საპარლამენტო არჩევნები დასრულდა. პარლამენტში 7 პარტია მოხვდა. ყველაზე მეტი ხმა პრორუსულმა „სოგლასიემ“ მოიპოვა (19,9%). შემდეგ მოდიან „ვის ეკუთვნის სახელმწიფო“ (14,08%). პარლამენტში ხვდებიან „ახალი კონსერვატიული პარტია“, კოალიცია „განვითარება“, „ნაციონალური გაერთიანება“, „მწვანეთა და გლეხთა კავშირი“.



როგორი იქნება ახალი ლატვიური მთავრობა? ამის თაობაზე ცხარე დისკუსიები მიმდინარეობს. უდავოა ერთი: მოპოვებული ხმები „სოგლასიეს“ არ აძლევს მთავრობის დაკომპლექტების საშუალებას. წინა არჩევნებში „სოგლასიემ“ ხმების 23% მიიღო. ახლა სახეზეა კლება. ლატვიაში მცხოვრებმა რუსებმა „სოგლასიეს“ უფრო რადიკალური „ლატვიელ რუსთა კავშირი“ ამჯობინეს. „სოგლასიე“ ერთადერთი პრორუსული პარტიაა, რომელიც პარლამენტში მოხვდა. შესაბამისად, არც ერთი ლატვიური ორგანიზაცია მასთან ალიანსზე არ წავა.

ამრიგად, ლატვიურმა საზოგადოებამ ამჟამინდელ კოალიციას წითელი ბარათი უჩვენა. მემარჯვენე რეფორმები, დასავლეთთან, უწინარეს ყოვლისა, აშშ-სთან კავშირის განმტკიცება, კორუფციასთან ბრძოლა, – ასეთია ლატვიური საზოგადოების დაკვეთა. ახალი მთავრობაც ამ სქემით იმუშავებს.

როგორი იქნება ახალი მმართველი კოალიცია? ვერც ერთი ამჟამინდელი პარტია დამოუკიდებლად მთავრობის ჩამოყალიბებას ვერ შეძლებს. ლატვიის სათავეშიც ფრიად ჭრელი მემარჯვენე კოალიცია მოვა. უახლოეს დღეებში გამოჩნდება, თუ კონკრეტულად რა კონფიგურაცია ჩამოყალიბდება, ან ვინ იქნება ლიდერი, რომელიც ახალ მთავრობას ჩაუდგება სათავეში.

გამოკვეთილი ფიგურა ჯერ არ ჩანს. პოლიტოლოგებიც არ გამორიცხავენ, რომ ამჟამინდელმა პრემიერმა კუჩინსკისმა პოსტი შეინარჩუნოს. დღევანდელი მმართველი კოალიციიდან ის ერთადერთია, ვის მიმართაც როგორც ოპოზიცია, ასევე მოსახლეობაც დადებითადაა განწყობილი.

## ბულგარეთში 30 წლის ჟურნალისტი ვიქტორია მარინოვა ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი დაახრჩვეს




30 წლის ვიქტორია მარინოვა ბულგარეთის ქალაქ რუსეში ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი თავში ჩაარტყეს და დაახრჩვეს.

ცხედარი დუნაისთან ახლოს, მწვანე ზონაში იპოვეს. რამდენიმე მეტრის დაშორებით მოკლული ჟურნალისტის პირადი ნივთები ნახეს. შორიახლოს მისი ავტომობილი ეყენა.

ადგილობრივი კრიმინალისტების განცხადებით, მსგავსი სისასტიკით მკვლელობის ფაქტები არ ახსენდებათ.

ჯერჯერობით უცნობია, უკავშირდება თუ არა მკვლელობა მარინოვას პროფესიულ საქმიანობას.

ადგილობრივი ტელევიზიის დირექტორი ძირითადად კორუფციის თემაზე მუშაობდა, მისი ბოლო გადაცემა კი ევროკავშირის ფონდთან დაკავშირებით თაღლითობას შეეხებოდა, რომელშიც, სავარაუდოდ, პოლიტიკოსები და ბიზნესმენები არიან ჩართულნი.

ჟურნალისტის მკვლელობა უკვე დაგმო საერთაშორისო გაერთიანებამ და ბულგარეთის ხელისუფლებას უსწრაფესი გამოძიებისკენ მოუწოდა.

## ბუნტი ომსკის კოლონიაში



ომსკის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ბუნტი დაიწყო. პატიმრებმა რამდენიმე სართული დაიკავეს და ბარიკადები აღმართეს.

ბუნტის მიზეზი ადმინისტრაციის მიერ პატიმრების ცემა და აბუჩად აგდება გახდა.

კოლონიის ადმინისტრაცია თავის მხრივ აცხადებს, რომ პატიმრებს მკაცრად ეპყრობოდნენ, რადგან სხვაგვარად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არ შეიძლება.

– თუ გინდათ, რომ ადამიანის უფლებები დაცული იყოს, კეთილი ინებეთ და ციხეები დააფინანსეთ! იმისთვის, რომ აქ ისეთი პირობები იყოს, როგორც აშშ-ის ან ევროპის ციხეებშია, ფულია საჭირო! ჩვენს ქვეყანაში პატიმრები კი არა, ჩვეულებრივი მოქალაქენიც დაუცველნი არიან, – ამტკიცებს ომსკის კოლონიის უფროსი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

### კალეიდოსკოპი

## პრინცესა ევგენია ქორწილისთვის ემზადება



ერთ-ერთმა ამერიკულმა ტელეარხმა ბრიტანეთის პრინცესა ევგენიას მოახლოებული ქორწილის დეტალები გაამხილა.

28 წლის პრინცესა ევგენია და მისი შეყვარებული ჯეკ ბრუკსბანკი 12 ოქტომბერს დაიწერენ ჯვარს უინძორის ციხესიმაგრის წმინდა გიორგის ეკლესიაში. მიმდინარე წლის მაისში სწორედ იქ გაიმართა პრინც ჰარისა და მეგან მარკლის ჯვრისწერა.

ეკლესიაში ცერემონიაზე გამოვა იტალიელი მომღერალი ანდრეა ბოჩელი და სამეფო ფილარმონიის ორკესტრი. ეკლესიიდან გამოსულ წყვილს გრენადერების პოლკის გვარდიელები დახვდებიან.

საქორწინო ტორტი დაფარულია შოკოლადით და ღია წითელ ფერშია გადაწყვეტილი. ჩანაფიქრით ის შემოდგომის მდიდარ პალიტრას განასახიერებს.

## ელისაბედ II ბუკინჰემის სასახლეს დატოვებს



დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II შეკეთებითი სამუშაოების გამო, იძულებული იქნება, ბუკინჰემის სასახლე დატოვოს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული სააგენტო ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შენობის შესაკეთებელი სამუშაოები 2025 წელს დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ ბუკინჰემის სასახლის რესტავრაციას დაახლოვებით 10 წელი დასჭირდება.

თუმცა ელისაბედ II საკუთარ რეზიდენციაში დაბრუნებას 2027 წელს შეძლებს.

## მელანია ტრამპმა კრიტიკოსებს უპასუხა



აშშ-ის პირველმა ლედიმ მელანია ტრამპმა აფრიკაში ვიზიტის დროს საკუთარი გარეგნობის გამკრიტიკებლებს უპასუხა.

– ჩემი სურვილია, რომ ხალხმა ყურადღება მიაქციოს იმას, თუ რას ვაკეთებ და არა იმას, თუ რა მაცვია, – განაცხადა მელანია ტრამპმა.

რამდენიმე დღით ადრე ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მეუღლე გააკრიტიკა მისი ჩაცმულობის გამო, რომელიც პირველმა ლედიმ აფრიკაში ვიზიტის დროს ჩაიცვა. პრეზიდენტის მეუღლე კენიაში ქათქათა თეთრი ფერის პერანგით და თეთრი ქუდით ჩავიდა, რაც, გამოცემის აზრით, აფრიკის ექსპლოატაციის ასოციაციას იწვევს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



# განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ვლადიმირ ვაისმა ორი ფეხბურთელი მოისაკლისა



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები უეფას ერთა ლიგის მატჩებისთვის მზადებას გუშინდელი დღიდან შეუდგა. თუმცა, უნდა ავღნიშნოთ, რომ მთლად ოპტიმალური შემადგენლობით არ არის.

უახლოესი 2 ოფიციალური თამაშისთვის მთავარმა მწვრთნელმა პირველ ეტაპზე 26-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, თუმცა სიას 2 ფეხბურთელი გამოაკლდა. ლევან მჭედლიძე (ემპოლი) და გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა) ეროვნულ ნაკრებს ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან. აქედან გამომდინარე, საქართველოს ნაკრები თბილისში 24 ფეხბურთელით შეიკრიბება.

არადა, მჭედლიძის ტრავმის შემდეგ, ნაკრები ერთი თავდამსხმელის ამარა არის დარჩენილი, მაგრამ ვაისმა უახლოესი რეზერვის გამოძახება პირველ დღეს არ ისურვა, ვნახოთ, რას გადაწყვეტს ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

**საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია (უგუნდო), როინ კვასხვაძე (ტორპედო), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), სოლომონ კვირკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო, ბელორუსი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), გიორგი აბურჯანია (ლუგო, ესპანეთი), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი) გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), თორნიკე ოქრიაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ჯაბა ჯიღაური (გრენობლი, საფრანგეთი), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ტრნავა, სლოვაკეთი);

**თავდამსხმელები:** ნიკა კაჭარავა (ანორთოსისი, კვიპროსი).

ცნობილია კიდევ 4 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებსაც მთავარი მწვრთნელი ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში განიხილავს:

ლევან გეგეჭკორი (ტორპედო), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია), ბუდუ ზივზივაძე (დინამო, თბ), ბაჩანა არაბული (პუშკაშ-აკადემია, უნგრეთი).

საქართველოს ნაკრები მესამე ტურის მატჩს ანდორასთან თბილისში, „დინამო არენაზე" 13 ოქტომბერს, 20:00 საათზე გამართავს. 16 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები რიგაში ლატვიას დაუპირისპირდება.

ამ დროისთვის საქართველოს ნაკრები 6 ქულით ჯგუფის ლიდერია, ანდორა 2 ქულით მეორე პოზიციას იკავებს, ლატვიისა და ყაზახეთის ნაკრებებს თითო ქულა აქვთ და მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ.

# დინამომ მოიგო, ტორპედო და დილა უგოლოდ დაშორდნენ



**რუსთავი-დინამო 0:3**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

0:1 შულაია (31), 0:2, 0:3 ზივზივაძე (80)

**რუსთავი:** სეფიაშვილი, კირკიტაძე, ბუგულოვი, ციცქიშვილი, ქავთარაძე (ლობჯანიძე 79), გადრანი, პაპავა, ჩუკურა, ხუბუტია (სილაგაძე 65), მარცვალაძე (თარხნიშვილი 71), კვარაცხელია

**დინამო:** სიკაჩი, რუხაია (ივანიშვილი 75), თოთაძე, ლოჩოშვილი (ხარაბაძე 38), კობოური, ნინუა, ივანისენია, კუცია (ქოჩლაძე 78), შულაია, შენგელია, ზივზივაძე

გაძევება: ჩუკურა (67)

შეხვედრა ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო და საწყის 15 წუთში სახიფათო საგოლე შეტევებიც გაცვალეს. ჯერ აკაკი შულაიამ ვერ გამოიყენა კარგი შანსი და ახლო მანძილიდან კარს ააცილა, საპასუხოდ კი მე-15 წუთზე ხვიჩა კვარაცხელიას დარტყმული სტეპან სიკაჩმა მოიგერია.

სტუმრებმა 31-ე წუთზე გახსნეს ანგარიში: გიორგი კუციას საჯარიმოში ჩაწოდებულს შულაია დაუხვდა, მისი თავური ზუსტი გამოდგა და დინამო დაწინაურდა.

ტაიმის ბოლოსკენ აკაკი ხუბუტიას სწრაფი შეტევაა ალსანიშნავი და მახვილი კუთხიდან გასროლა, ბურთი ზევიდან გადაცდა კარს. საპასუხოდ დინამოელთა შეტევა ლევან შენგელიას დარტყმით დასრულდა, მაგრამ კოკა სეფიაშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. დინამომ პირველი ტაიმის ბოლოს მეორე გოლიც გაიტანა. გუჯა რუხაიას აქტიურობა, ლოგიკურ დასასრულამდე ბუდუ ზივზივაძემ მიიყვანა.

მეორე ტაიმი მასპინძელთა შეტევით განახლდა. ხვიჩა კვარაცხელია შეიჭრა საჯარიმოში, დაარტყა კიდეც, დინამოელთა კარი ძელმა იხსნა. 61-ე წუთზე რუსთაველთა სწრაფი შეტევა და თორნიკე კირკიტაძეს შეეძლო ანგარიშის შემცირება, მისი დარტყმული გარედან მოხვდა დინამოელთა კარს.

ამის შემდეგ მასპინძლები 10 კაცით დარჩნენ. არბიტრმა მოედნიდან რაფაელ ჩუკურა გააძევა, მან მეორე ყვითელი ბარათი აკაკი შულაიასთან უხეშობისთვის მიიღო. ცხადი გახდა, რომ რუსთავი მატჩის შემომტრიალებელი აღარ იყო.

მე-80 წუთზე ბუდუ ზივზივაძე გავიდა მეკარესთან პირისპირ და დუბლი შეასრულა. დინამომ საბოლოოდ 3:0 იმარჯვა.

**დილა-ტორპედო 0:0**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე

**დილა:** გუგეშაშვილი, გ.გადრანი, კორიფაძე, სანტოსი, გრიგალაშვილი, ნონდი (ჩადუნელი 36), გოგუა (რაზმაძე 87), ნონიკაშვილი, რიბეირო, სუხიაშვილი, ჯუფი (ქავთარაძე 72)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ხურცილავა, აზაცკი, ქიმაძე (კაპანაძე 76), მარინი, კობახიძე, ცინცაძე (კუხიანიძე 84), დაფე, ჰლინკა (გიგაური 57), კუტალია, ლაჩინი

გაძევება: ლაჩი (33), გადრანი (33)

ტურის ცენტრალურ მატჩს გორმა უმასპინძლა, თუმცა, მატჩი თვალსასეირო ნამდვილად ვერ გამოდგა და უგოლოდ, 0:0 დასრულდა.

ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი პირველ ტაიმში იყო, როდესაც მილოშ ლაჩნი და გიორგი გადრანი ერთმანეთს ფიზიკურად გაუსწორდნენ და ჯენერი ხორავამ მოედნიდან ორივე გააძევა.

მომენტები კი ნაკლებად: 37-ე წუთზე მათე ცინცაძის დარტყმული ჯარიმა გორელთა კარის ძელს მოხვდა, ხოლო მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში დილა გაშვებულ გოლს ლუკა გუგეშაშვილმა გადაარჩინა: გიორგი კუხიანიძის ჩაწოდების შემდეგ თავური დარტყმით ბურთი კარში ლევან კუტალიამ გადაგზავნა, მაგრამ შესანიშნავი რეაქცია გამოავლინა მასპინძელთა მეკარემ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 28 | 20 | 3 | 5 | 51-24 | 63 |
| 2.დინამო | 27 | 18 | 4 | 5 | 53-24 | 58 |
| 3.დილა | 28 | 13 | 10 | 5 | 48-34 | 49 |
| 4.ჩიხურა | 28 | 14 | 5 | 9 | 42-26 | 47 |
| 5.ტორპედო | 26 | 13 | 6 | 7 | 40-20 | 45 |
| 6.ლოკომოტივი | 27 | 9 | 5 | 13 | 33-44 | 32 |
| 7.რუსთავი | 28 | 6 | 11 | 11 | 25-34 | 29 |
| 8.სიონი | 28 | 5 | 6 | 17 | 24-49 | 21 |
| 9.სამტრედია | 28 | 3 | 9 | 16 | 22-49 | 18 |
| 10.კოლხეთი | 28 | 4 | 7 | 17 | 23-57 | 13 |

**შენიშვნა:** კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

# შერმადინი და მაკფადენი საუკეთესონი იყვნენ



ესპანეთის ჩემპიონატის მე-3 ტურში ქართველი კალათბურთელების გუნდები შეხვდნენ. თორნიკე შენგელიას ბასკონიამ 85:66 დაამარცხა ბექა ბურჯანაძის გიპუზკოა.

არც ერთი ქართველი კალათბურთელი სასტარტო 5-ეულში არ ყოფილა. შენგელიამ 20 წუთში გუნდს 13 ქულა და 5 მოხსნა შესძინა. ბურჯანაძემ 18 წუთში 4 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა. რაც შეეხება შენგელიას თანაგუნდელს და საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულ კალათბურთელ მეტ ჯენინგს 21 წუთში 5 ქულა მიითვალა.

ბასკონია 2 მოგებით და 1 წაგებით მეოთხე ადგილზე იმყოფება, ხოლო ბურჯანაძის გუნდი 3 წაგებით ბოლო ადგილზეა.

გიორგი შერმადინის უნიკახა კი, მადრიდში ესპანეთისა და ევროლიგის ჩემპიონ რეალს დაუპირისპირდა და დიდი ბრძოლა გაუმართა. სტუმართაგან საუკეთესო ქართველი ცენტრი იყო, რომელიც მიმდინარე სეზონში პირველად გამოჩნდა სასტარტო ხუთეულში.

მატჩი მადრიდელებმა ბრძოლაში – 89:82 მოიგეს. შერმადინმა მოედანზე 20 წუთი გაატარა, რა დროშიც 13 ქულა, 3 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 8-დან 5 ორქულიანი და 3-ვე საჯარი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

**7 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ფულჰემი-არსენალი ........ 1:5
საუთჰემპტონი-ჩელსი ........ 0:3
ლივერპული-სიტი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 8 | 6 | 2 | 0 | 21-3 | 20 |
| 2.ჩელსი | 8 | 6 | 2 | 0 | 18-5 | 20 |
| 3.ლივერპული | 8 | 6 | 2 | 0 | 15-3 | 20 |
| 4.არსენალი | 8 | 6 | 0 | 2 | 19-10 | 18 |
| 5.ტოტენჰემი | 8 | 6 | 0 | 2 | 15-7 | 18 |
| 6.ბორნმუთი | 8 | 5 | 1 | 2 | 16-12 | 16 |
| 7.ვულვზი | 8 | 4 | 3 | 1 | 9-6 | 15 |
| 8.მანჩესტერი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-14 | 13 |
| 9.უოტფორდი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-12 | 13 |
| 10.ლესტერი | 8 | 4 | 0 | 4 | 14-12 | 12 |
| 11.ევერტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-12 | 12 |
| 12.ბარნლი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-12 | 8 |
| 13.ბრაიტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| 14.კრ.პალასი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-9 | 7 |
| 15.ვესტ ჰემი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-13 | 7 |
| 16.საუთჰემპტონი | 8 | 1 | 2 | 5 | 6-14 | 5 |
| 17.ფულემი | 8 | 1 | 2 | 5 | 9-21 | 5 |
| 18.ჰადერსფილდი | 8 | 0 | 3 | 5 | 4-17 | 3 |
| 19.ნიუკასლი | 8 | 0 | 2 | 6 | 6-13 | 2 |
| 20.კარდიფი | 8 | 0 | 2 | 6 | 4-17 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრისტოლი-უენსდი ........ 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-უესკა ........ 1:0
ატლეტიკო-ბეტისი ........ 1:0
სევილია-სელტა ........ 2:1
ესპანიოლი-ვილიარეალი ........ 3:1
ვალენსია-ბარსელონა ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სევილია | 8 | 5 | 1 | 2 | 18:8 | 16 |
| 2.ბარსელონა | 8 | 4 | 3 | 1 | 19:9 | 15 |
| 3.ატლეტიკო | 8 | 4 | 3 | 1 | 9:4 | 15 |
| 4.რეალი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:7 | 14 |
| 5.ესპანიოლი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:7 | 14 |
| 6.ალავესი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:8 | 14 |
| 7.ვალიადოლიდი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:6 | 12 |
| 8.ბეტისი | 8 | 3 | 3 | 2 | 5:6 | 12 |
| 9.სოსიედადი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:11 | 11 |
| 10.სელტა | 8 | 2 | 4 | 2 | 13:12 | 10 |
| 11.ლევანტე | 8 | 3 | 1 | 4 | 12:14 | 10 |
| 12.ეიბარი | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | 10 |
| 13.ვალენსია | 8 | 1 | 6 | 1 | 6:7 | 9 |
| 14.ხეტაფე | 8 | 2 | 3 | 3 | 6:7 | 9 |
| 15.ხირონა | 8 | 2 | 3 | 3 | 10:13 | 9 |
| 16.ვილიარეალი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:7 | 8 |
| 17.ბილბაო | 7 | 1 | 4 | 2 | 9:13 | 7 |
| 18.ლეგანესი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:12 | 7 |
| 19.რაიო | 7 | 1 | 2 | 4 | 7:15 | 5 |
| 20.უესკა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:18 | 5 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

რეუსი-გრანადა ........ 1:2
ოვიედო-ალბასეტე ........ 1:0
დეპორტივო-მალაგა ........ 1:1
ელჩე-ლუგო ........ 2:1
კადისი-ხიმნასტიკი ........ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-ლევერკუზენი ........ 0:0
ჰოფენჰაიმი-აინტრახტი ........ 1:2
ლაიპციგი-ნიურნბერგი ........ 6:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 7 | 5 | 2 | 0 | 23:8 | 17 |
| 2.ლაიპციგი | 7 | 4 | 2 | 1 | 16:9 | 14 |
| 3.გლადბახი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:9 | 14 |
| 4.ვერდერი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:8 | 14 |
| 5.ჰერტა | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 14 |
| 6.ბაიერნი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| 7.აინტრახტი | 7 | 3 | 1 | 3 | 12:11 | 10 |
| 8.მაინცი | 7 | 2 | 3 | 2 | 4:4 | 9 |
| 9.ვოლფსბურგი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:11 | 9 |
| 10.აუგსბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 14:13 | 8 |
| 11.ფრაიბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:13 | 8 |
| 12.ნიურნბერგი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:16 | 8 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:12 | 7 |
| 14.ლევერკუზენი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:13 | 7 |
| 15.შალკე | 7 | 2 | 0 | 5 | 5:9 | 6 |
| 16.ჰანოვერი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:14 | 5 |
| 17.ფორტუნა | 7 | 1 | 2 | 4 | 5:11 | 5 |
| 18.შტუტგარტი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | 5 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-პადერბორნი ........ 1:2
ზ.პაული-ზანდჰაუზენი ........ 3:1
უნიონი-ჰაიდენჰაიმი ........ 1:1

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-პარმა ........ 1:3
მილანი-კიევო ........ 3:1
ატალანტა-სამპდორია ........ 0:1
ლაციო-ფიორენტინა ........ 1:0
ნაპოლი-სასუოლო ........ 2:0
სპალ-ინტერი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 8 | 8 | 0 | 0 | 18:5 | 24 |
| 2.ნაპოლი | 8 | 6 | 0 | 2 | 15:10 | 18 |
| 3.ინტერი | 8 | 5 | 1 | 2 | 12:6 | 16 |
| 4.ლაციო | 8 | 5 | 0 | 3 | 11:9 | 15 |
| 5.სამპდორია | 8 | 4 | 2 | 2 | 12:4 | 14 |
| 6.რომა | 8 | 4 | 2 | 2 | 16:10 | 14 |
| 7.ფიორენტინა | 8 | 4 | 1 | 3 | 14:6 | 13 |
| 8.სასუოლო | 8 | 4 | 1 | 3 | 15:14 | 13 |
| 9.პარმა | 8 | 4 | 1 | 3 | 10:9 | 13 |
| 10.მილანი | 7 | 3 | 3 | 1 | 15:10 | 12 |
| 11.ტორინო | 8 | 3 | 3 | 2 | 9:9 | 12 |
| 12.ჯენოა | 7 | 4 | 0 | 3 | 12:14 | 12 |
| 13.კალიარი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:9 | 9 |
| 14.სპალი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:10 | 9 |
| 15.უდინეზე | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | 8 |
| 16.ბოლონია | 8 | 2 | 1 | 5 | 4:10 | 7 |
| 17.ატალანტა | 8 | 1 | 3 | 4 | 9:11 | 6 |
| 18.ემპოლი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:10 | 5 |
| 19.ფროზინონე | 8 | 0 | 1 | 7 | 3:21 | 1 |
| 20.კიევო | 8 | 0 | 2 | 6 | 6:19 | -1 |

*შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-პადოვა ........ 4:1
ლივორნო-სპეცია ........ 1:3
პალერმო-კროტონე ........ 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონაკო-რენი ........ 1:2
მარსელი-კაენი ........ 2:0
პსჟ-ლიონი ........ 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 9 | 9 | 0 | 0 | 32-6 | 27 |
| 2.ლილი | 9 | 6 | 1 | 2 | 17-7 | 19 |
| 3.მარსელი | 9 | 5 | 1 | 3 | 21-16 | 16 |
| 4.მონპელიე | 9 | 4 | 4 | 1 | 12-7 | 16 |
| 5.სტ.ეტიენი | 9 | 4 | 3 | 2 | 11-12 | 15 |
| 6.ლიონი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-12 | 14 |
| 7.ბორდო | 9 | 4 | 2 | 3 | 13-11 | 14 |
| 8.ტულუზა | 9 | 3 | 4 | 2 | 10-12 | 13 |
| 9.სტრასბური | 9 | 3 | 3 | 3 | 16-13 | 12 |
| 10.ანჟე | 9 | 3 | 2 | 4 | 11-12 | 11 |
| 11.რენი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-14 | 11 |
| 12.ნიცა | 9 | 3 | 2 | 4 | 7-13 | 11 |
| 13.ამიენი | 9 | 3 | 1 | 5 | 11-13 | 10 |
| 14.ნიმი | 9 | 2 | 4 | 3 | 13-16 | 10 |
| 15.კაენი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-13 | 10 |
| 16.დიჟონი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-13 | 10 |
| 17.რეიმსი | 9 | 2 | 4 | 3 | 4-9 | 10 |
| 18.მონაკო | 9 | 1 | 3 | 5 | 9-13 | 6 |
| 19.ნანტი | 9 | 1 | 3 | 5 | 8-16 | 6 |
| 20.გენგამი | 9 | 1 | 2 | 6 | 6-18 | 5 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ემენი-სიტარდი ........ 3:3
ტილბურგი-ფეინოორდი ........ 1:1
ვიტესი-ერაკლესი ........ 4:0
აიაქსი-ალკმაარი ........ 5:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-ავიში ........ 1:0
ბენფიკა-პორტუ ........ 1:0
პორტიმორენშე-სპორტინგი ........ 4:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ენისეი-სპარტაკი ........ 2:3
ახმატი-ანჟი ........ 0:0
ზენიტი-კრასნოდარი ........ 2:1
ცსკა-ლოკომოტივი ........ 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ლუგანო ........ 2:1
ქსამაქსი-სიონი ........ 1:1
თუნი-ციურიხი ........ 2:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

რეინჯერსი-ჰართსი ........ 3:1
სტ.მირენი-სელტიკი ........ 0:6

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ინსბრუკი-ლინცერი ........ 1:0
რაპიდი-მატერსბურგი ........ 1:0
შტურმი-ზალცბურგი ........ 1:2

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ვარეგემი-ანდერლეხტი ........ 1:2
სტანდარდი-ბრიუგე ........ 3:1
გენტი-გენკი ........ 1:5

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლამია-ოფი ........ 1:1
პაოკი-აპოლონი ........ 2:0
ატრომიტოსი-იანინა ........ 1:0
აეკი-ოლიმპიაკოსი ........ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

მალათია-სივასი ........ 4:4
ფენერბახჩე-ბაშაქშეჰირი ........ 0:0
აკხისარი-ტრაბზონი ........ 1:3
ქონია-ბეშიქთაში ........ 2:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-ტეპლიცე ........ 1:0
კარვინა-დუკლა ........ 0:2
ოპავა-ბოჰემიანსი ........ 0:1
იაბლონეცი-სლოვაცკო ........ 2:0
სლავია-პრჟიბრჟამი ........ 4:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-ზაგლებიე ........ 3:1
კორონა-იაგელონია ........ 1:1
კრაკოვია-ვისლა ........ 0:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ლვოვი-დესნა ........ 1:3
დინამო-ოლიმპიკი ........ 1:0
შახტარი-ზორია ........ 1:1
ვორსკლა-არსენალი ........ 0:2

**დანია. სუპერლიგა**

ჰობრო-ნორდსიელანდი ........ 3:2
ჰორსენსი-ესბიერგი ........ 1:2
კოპენჰაგენი-რანდერსი ........ 4:0
ოლბორგი-ბრონდბიუ ........ 1:3
მიდტიულანდი-ვენსიუსელი ........ 3:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰაკენი-მალმიო ........ 1:1
აიკი-იორებრო ........ 1:1
ბრომაპოიკარნა-ჰამარბი ........ 2:4
ნორჩიოპინგი-დიურგარდენი ........ 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბოლო ........ გლიმდტი-მიოლდე 0:1
კრისტიანსუნი-ტრომსო ........ 5:1
რუსენბორგი-სანდერფიორდი ........ 1:1
სტარტი-სარპსბორგი ........ 1:0
ოდ გრელანდი-რანჰეიმი ........ 2:0
ბრანი-ლილესტრიომი ........ 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მარიჰამნი-ლახტი ........ 3:0
კუუპიო-ილვესი ........ 2:0
ჰიკი-ვაასა ........ 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ლეო მესი: „არსად წასვლა არ მინდა“



მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, ლეო მესის ინტერვიუ იშვიათად ჩნდება პრესის ფურცლებზე თუ ინტერნეტსამყაროში. თუმცა, ამჯერად გამონაკლისი მოხდა და არგენტინელის ინტერვიუ გამოჩნდა. ცხადია, ასეთ შანსს ხელიდან არ გავუშვებდით...

მესიმ სამომავლო გეგმებზე, ჩემპიონთა ლიგის ახალ სეზონზე, ბარსელონას მიზნებზე ისაუბრა. გარდა ამისა, კრიშტიანუ რონალდუს იუვენტუსში გადასვლა შეაფასა და აღნიშნა, რომ პორტუგალიელის ნაბიჯით გაკვირვებული დარჩა.

***– როგორია იყო ბარსელონას კაპიტანი?***

– ჩემთვის დიდი პატივია, რომ ბარსელონას კაპიტანი ვიყო, ეს ყველაფერს ნიშნავს. თუმცა, ბარსას კაპიტანი დიდი ხანია ვიყავი, მხოლოდ სამკლაური არ მეკეთა.

***– მიმდინარე სეზონში რა არის გუნდის მთავარი მიზანი?***

– ჩემპიონთა ლიგა უნდა მოვიგოთ, რადგან საოცარი გუნდი გვყავს. ვფიქრობ, ამის დროც მოვიდა, ზედიზედ 3 წელია მეოთხედფინალიდან ვეთიშებით ტურნირს. აქედან, ბოლო ყველაზე საშინელი იყო. ჩვენს გუნდს შეუძლია ამ ტურნირზე გამარჯვებისთვის ბრძოლა.

***– გუნდში არტურო ვიდალის მოსვლა გამართლებული ნაბიჯი იყო?***

– ბარსელონას ყოველთვის სურს მაღალი ხარისხის ფეხბურთელები. ვიდალისნაირი მოთამაშეები კი გუნდისთვის აუცილებელია. ის ფიზიკურად ძალიან ძლიერია და ბევრის მიცემა შეუძლია ბარსასთვის.

***– ბარსელონას ანტუან გრიზმანის დამატება სურდა, მაგრამ ფრანგმა ატლეტიკოში დარჩენა არჩია.***

– ყველა ადამიანმა თავად იცის, რა არის უკეთესი მისთვის. ეს მისი გადაწყვეტილებაა და ჩვენ იმათზე უნდა ვიზრუნოთ, ვინც მოვიდნენ ბარსელონაში, რომ ამ სეზონში დასახულ მიზნებს მივაღწიოთ.

***– როგორც ჩანს, წელს რეალი არ იქნება მთავარი კონკურენტი.***

– რეალი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. თუმცა, რონალდუს წასვლით დასუსტდა, ხოლო იუვენტუსი ჩემპიონთა ლიგის გამოკვეთილ ფავორიტად იქცა.

***– რამდენად სწორი ნაბიჯი გადადგა რონალდუმ იუვენტუსში გადასვლით?***

– ჩემთვის მოულოდნელი იყო. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ რეალს დატოვებდა და იუვენტუსში გადავიდოდა. ბევრ გუნდს სურდა მისი ყიდვა და იუვეზე ნაკლებად იწერებოდა. გამიკვირდა, თუმცა ძალიან ძლიერ გუნდში გადავიდა.

***– თქვენს პირად მომავალზე რას იტყვით?***

– ბარსელონაში ყველაფერი მაქვს. 13 წლიდან აქ ვარ, მსოფლიოს საუკეთესო გუნდში, ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქში. ჩემი შვილები კატალონიაში დაიბადნენ და არსად წასვლა არ მინდა.

# ახალგაზრდული ოლიმპიადა ცუდად დავიწყეთ



არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში მიმდინარე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების პირველი საშეჯიბრო დღე წარუმატებელი გამოდგა ქართველი სპორტსმენებისთვის.

ანა მაქაცარია ირლანდიელ გეორგია დრიმთან ერთად წყვილთა ტურნირში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშით გამოვიდა. ეს არის საჩოგბურთო ოლიმპიური ტურნირის ახალი დისციპლინა, რომელიც სწორედ სოკ-ის რეკომენდაციით შევიდა ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. პირველ წრეში ქართულ-ირლანდიური დუეტი იაპონელებს – იუკო ნაიტოს და ნაო სატოს დაუპირისპირდა და 2 სეტში დამარცხდა – 1:6, 5:7.

ტაეკვონდოში ზურაბ კინწურაშვილმა (48 კგ) პირველივე შეხვედრა დათმო (11:30) კორეელ იმ სონგბინთან და მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა. საბოლოოდ კორეელი სპორტსმენი თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ოქროს მედალი კი რუსმა დმიტრი შიშკომ მოიგო.

მაქაცარიას კვლავ უწევს კორტზე გასვლა, ამჯერად – ერთეულთა თანრიგში. პირველ წრეში მისი მეტოქე იქნება ლიხტენშტაინელი სილვია ზანდი.

# შერმადინი და მაკფადენი საუკეთესონი იყვნენ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მო ჩააგდო.

ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 15-ს გაუტოლდა და ეს უნიკახას რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

მიმდინარე სეზონში უნიკახასთვის ეს გახლდათ პირველი მარცხი 2 მოგების შემდეგ და მალაგელები მე-5 ადგილზე არიან. მომდევნო ტურში შერმადინის გუნდი გრან კანარიას უმასპინძლებს.

ძალიან მაგარი შეხვედრა ჩაატარა თად მაკფადენმა, რომლის იბეროსტარმა ობრადორიოს უმასპინძლა და ქართულპასპორტიანი ამერიკელი კალათბურთელის წინამძღოლობით 78:52 იმარჯვეს.

მაკფადენი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 30 წუთში 25 ქულა, 3 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. თადმა 2-ვე ორქულიანი, 9-დან 5 სამქულიანი და 6-ვე საჯარიმო ჩააგდო.

მაკფადენის სარგებლიანობის კოეფიციენტი 29-ს გაუტოლდა და გასაკვირი არაა, რომ ის მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. მეტიც, შესაძლოა, ტურის საუკეთესო კალათბურთელობაზეც გაიწიოს.

ტენერიფელებმა 2 მოგება და 1 მარცხი მოაგროვეს და მე-4 ადგილზე გადაინაცვლეს, შემდეგი მატჩს კი ბექა ბურჯანიძის გიპუზკოასთან გამართავენ.

გოგა ბითაძის მეგა ბიმაქსმა ადრიატიკის ლიგაში მეორე მატჩიც მოიგო, რაშიც ქართველი ცენტრის დამსახურება სოლიდურია. სრემშკა მიტროვიცელებმა ბელგრადულ ფმპ-ს უმასპინძლეს და საკმაოდ იოლად – 89:61 მოუგეს.

ბითაძე სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 25 წუთში 14 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი და 2 დაფარება მიითვალა. ქართველი ცენტრი მეტს ითამაშებდა, მოედნიდან 5 პერსონალურის გამო რომ არ გავარდნილიყო. გოგამ 8-დან 5 ორქულიანი და 8-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. სარგებლიანობის ინდექსით, რამაც 19 შეადგინა, ქართველი ცენტრი ბიმაქსელთა შორის მხოლოდ ოგნიენ ჩარაპიჩმა (20) აჯობა.

2 ტურის შემდეგ 2 მოგებით მეგა ბიმაქსი 12-გუნდიანი ადრიატიკის ლიგის ერთ-ერთი ლიდერია. შემდეგ ტურში, ბითაძის გუნდი ზაგრებში ცედევიტას ეთამაშება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ეშვებიანი შავი კატა სოციალური ქსელის ვარსკვლავი გახდა



სოციალურ ქსელ ინსტაგრამში სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს შავი კატა, სახელად მონკი, რომელსაც ყბების არასწორად განვითარების გამო ჩვეულებრივზე გრძელი ეშვები აქვს. თუმცა მისი პატრონის მტკიცებით, ეს დეფექტი მის საყვარელ ცხოველს სულაც არ აწუხებს.

ცხოველის პატრონმა, რომელიც ნიუ-იორკის მკვიდრია, თავისი კატისთვის ისტორიაში ყველაზე ცნობილი ვამპირის – დრაკულას კოსტიუმი შეიძინა, ხოლო საფლავების ფონზე ჩატარებულმა ფოტოსესიამ მას საბოლოო სახე მისცა.

ამ დროისთვის მონკას და მისი ძმის ბინის გვერდს 88 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

## გალაპაგოსზე ასზე მეტი კუ მოიპარეს



გალაპაგოსის კუნძულებზე Arnaldo tupiza-ს ცენტრიდან ასზე მეტი გიგანტური კუ დაიკარგა. ამ ინფორმაციას ეკვადორის გარემოს დაცვის სამინისტრო ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სექტემბრის ბოლოს გალაპაგოსის ეროვნული პარკიდან სამინისტროში შევიდა შეტყობინება 123 გიგანტური კუს დაკარგვის შესახებ, რომლებიც გადაშენების პირას მყოფ სახეობას წარმოადგენს.

ამ საქმესთან დაკავშირებით გალაპაგოსის კუნძულების პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს 247 მუხლით, რომელიც ეკვადორის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ველური ფლორისა და ფაუნის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ამ გამოძიების შესახებ მთელი ინფორმაცია კონფიდენციალურია.

Arnaldo tupiza-ს ცენტრი 1993 წელს შეიქმნა ხუთი სახეობის გიგანტური კუების გასამრავლებლად. სულ იქ 330-ზე რეპტილია ბინადრობდა.

## ზოოპარკის დამთვალიერებელმა ბეჰემოთს პლასტიკატის შეკვრა გადააყლაპა



ჩინეთში ზოოპარკის დამთვალიერებელმა ბეჰემოთს პლასტიკატის შეკვრა გადაუგდო, რომელშიც პოპკორნი იყო. მომხდარი ვიდეოზე თვითმხილველებმა გადაიღეს.

ინციდენტი ცზიანსის პროვინციის ქალაქ ნანიჩანის ზოოპარკში მოხდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ ცდილობს მამაკაცი იმ მომენტის დაჭერას, როდესაც ცხოველი პირს გააღებს და შემდეგ სიცილით შეკვრას ესვრის. გარდა ამისა, კანონის დამრღვევი ღობეზე იყო ამძვრალი, რაც ასევე ზოოპარკში დადგენილ ქცევის წესებს ეწინააღმდეგება.

ვიდეოს ავტორმა თვითმხილველმა აღნიშნა, რომ მამაკაცი ზოოპარკში ბავშვთან ერთად იყო მისული. აღნიშნული ვიდეო სოციალურ ქსელში იქნა გამოქვეყნებული და ინტერნეტმომხმარებელთა ნეგატიური რეაქცია გამოიწვია.

ვიდეოზე რეაგირება მოახდინეს დაწესებულების წარმომადგენლებმა. მათ ადგილობრივ ვეტერინარებს სამივე ბეჰემოთის შემოწმების თხოვნით მიმართეს. ჯერ-ჯერობით მათი მდგომარეობა ნორმალურია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ასტროპროგნოზი

## 9 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – დღეს სამოგზაუროდ ნუ წახვალთ. ნებისმიერი ვოიაჟით უკმაყოფილო დარჩებით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **კურო** – სოციალურ სფეროში ფართო პერსპექტივები ჩნდება. კეთილისმყოფელი დღეა სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ლომი** – ცვლილებების დროა. ელოდეთ როგორც პოზიტივს, ისე – ნეგატივს. ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – პასიური დღეა. ნუ გარისკავთ, განსაკუთრებით – ფინანსური კუთხით. **სასწორი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტი იღბლიანია. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამთმობი და მოსიყვარულე უნდა იყოთ. თქვენს მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზუსტად იმ ნივთს შეიძენთ, რომელიც ძალიან გამოგადგებათ. **თხის რქა** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად არაკეთილმყოფელი პერიოდია. **მერწყული** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. ქებამ არ გაგწყინოთ. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახის წევრებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი

**შვეულად:** მაკედონიის დედაქალაქი; 2. „ფიატის“ დამფუძნებელი; 3. კუთხე საქართველოში; 4. შრი-ლანკას ძველი სახელწოდება; 5. იტალიური რესტორანი; 7. ბეთჰოვენის ოპერა; 11. მოძრავი სცენა თეატრში; 12. თავისივე ქონში ჩახრაკული ცხვრის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 13. მდინარე ახალციხეში; 14. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 15. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 19. პოლონეთის პრეზიდენტი.

**თარაზულად:** 5. მეღვინეობა-მევენახეობის ოლქი იტალიაში; 6. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. კუნძული ვენეციის ყურეში, პოპულარული საკურორტო ზონა; 9. ორსართულიანი სახლის ზედა სართული ფშავ-ხევსურეთში; 10. ჩაის ფოთლის დამგრეხი მანქანა; 11. ერთგულების მტკიცე პირობა; 13. რაიონი თბილისში; 14. რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი; 16. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 18. სპორტული, სასეირნო ნავი; 20. ძველი ქართული იუმორისტული ჟურნალი; 21. მუსლიმანთა სასულიერო სასწავლებელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. პარფიუმერია; 7. ავენიდა; 8. ლეიცინი; 9. ბარაქა; 13. ტირი; 14. ნომერი; 18. სკიპიდარი; 19. კაირო; 21. კამეა; 22. გრიზლი; 23. მიკროპილე; 24. ფრიტიური.

**შვეულად:** 1. ვანადატი; 2. დისტიქი; 3. კიური; 4. ოვარინი; 5. კიმბალი; 10. ლიტურგია; 11. მორმონიზმი; 12. კროკეტი; 15. პრიმატები; 16. თეოდორ; 17. ნარკოზი; 20. ბანბუ.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ენოტი; 2. სუ; 3. პერფომანსი; 4. ნარგილე; 5. პაროდია; 6. კი; 7. პერუ; 8. ოტომანი; 9. იერარქია; 10. პოლკი; 11. ნიანგი; 12. იამამოტო; 13. ჩიჩოლინა; 14. მის; 15. პიარი; 16. აკვამარინი; 17. კაცი; 18. რეა; 19. ლია; 20. ნაინ; 21. პლაკატი; 22. ქობალია; 23. პლისე; 24. ალეკ; 25. არა; 26. პარა; 27. ოო; 28. ოყა; 29. ჰა; 30. აბისინია; 31. ტორონტო; 32. სოია; 33. ეტი.

**სურათებში:** ევა მენდესი; რობერტო მანჩინი.

# გიორგი ლაფაჩიშვილი „მხოლოდ ქართულში“ მონაწილეობს



მომღერალი გიორგი ლაფაჩიშვილი მუსიკალურ შოუში „მხოლოდ ქართული“ მონაწილეობს.

გიორგი ფართო საზოგადოებამ „იქს ფაქტორიდან“ გაიცნო. ის სოფო ნიჟარაძის გუნდის წევრი იყო და თავისი ტკბილი ხმით ტურიდან ტურში მსმენელთა მხარდაჭერით გადადიოდა. მართალია გიორგი „იქს ფაქტორის“ გამარჯვებული ვერ გახდა, თუმცა პოლ მაკარტნის ცნობილი ჰიტის „მაი ვალენტაინის“ სოფო ნიჟარაძესთან დუეტში სიმღერა შეძლო.

ახლა გიორგი „მხოლოდ ქართულის“ კონკურსანტია და ჟიურის წინაშე შესარჩევ ტურში 1970-ე ნომრით წარდგა.

# ბოლნისში უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გაკეთდა



ბოლნისში უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გაკეთდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები ჩვენს ისტორიაში ბევრ ახალ საინტერესო ფაქტს ავლენს. გამონაკლისი არც ბოლნისია.

ახალი აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია დავით კანდელაკმა გაავრცელა:

– ბოლნისი. ახალი აღმოჩენილი საცხოვრებელი. მეექვსე ათასწლეული ქრისტეს შობამდე.

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ინეზა ზარანდია, შვილები ნინო და პაატა, ძმა ვალერი ჭანტურია, სიძე ენუქი მანია, შვილიშვილები გიორგი და მიხეილ მანიები, ძმისშვილები თამარ და რუსუდან ჭანტურიები, რძალი მიმოზა შენგელია, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოგი ანდროს ძე ჭანტურია**

მისამართი: წალენჯიხა, რუსთაველის ქუჩა №39.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს.

გამოსვენება: 15:00 საათზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კვების მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, წლების მანძილზე წალენჯიხის პურ-კომბინატის დირექტორი

**გოგი ჭანტურია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

წალენჯიხის ყოფილი პურ-კომბინატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან კომბინატის დირექტორის

**გოგი ჭანტურიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ვალერი ჭანტურია დიდი მწუხარებით და გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაეცვალა ძმა

**გოგი ანდროს ძე ჭანტურია**

წალენჯიხის სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლი „ბედინერა“ დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ანსამბლის ყოფილი წევრი, საქმით და მეგობრობით გამორჩეული პიროვნება

**გოგი ჭანტურია**

და გულწრფელად თანაუგრძნობენ მის მეუღლეს, ქალბატონ ინეზა ზარანდიას და შვილებს ნინო და პაატა ჭანტურიებს.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე უნივერსიტეტის დამფუძნებლის, პროფესორ გურამ თავართქილაძის ვაჟის

**გურამ თავართქილაძის (უმცროსი)**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 9, 10 ოქტომბერი.

მის: დ.აღმაშენებლის გამზ. №111.

გამოსვენება: 11 ოქტომბერი. 14.00 სთ. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიიდან.

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №39ა (სამედიცინო უნივერსიტეტთან).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ანა ლაშხელი-ონიანი გარდაიცვალა



ახალგაზრდა მწერალი ანა ლაშხელი-ონიანი 32 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. ანა სამკურნალოდ საზღვარგარეთ იმყოფებოდა, სადაც პირველი ქიმიოთერაპიის კურსი წარმატებით გაიარა, თუმცა სიმსივნესთან ბრძოლაში დამარცხდა:

– არასოდეს არავინ თქვას არასოდეს...

უკვე მჯერა, რომ შეიძლება გაიღვიძო და არსად იყოს ცა, არც მიწა... და მით უმეტეს, ადრინდელი ცხოვრება.

20-დღიანი შოკის, ელდის თუ ტანჯვის შემდეგ, დიაგნოზი დამისვეს. არ ვიტყვი რა. იმიტომ, რომ არავისგან არაფერს ველოდები, არც სიბრალულს, არც თანადგომას. ეს მე უნდა გავაკეთო. დღეიდან მე ვარ მთავარი ჩემი თავისთვის, ჩემი ჯანმრთელობისთვის და ჩემი სიცოცხლისთვის. დღეიდან ვიწყებ იმ წიგნის წერას, რომელიც ბევრი ადამიანისთვის სახელმძღვანელო გახდება და გპირდებით, ამ წიგნის პრეზენტაციას მეც დავესწრები. ეს გადამატანინებს რთულ გზას, რომელიც წინ მელოდება. მე არაფრის მეშინია. პირიქით, ვიღებ ამ გამოწვევას ცხოვრებისგან, დავუმტკიცებ ყველას, რომ ერთი გალეული გოგოს უკან, ძალიან ძლიერი ადამიანი იმალება. მოვრჩი წუწუნს.

ახლა მადლობების სერია: მადლობა ღუდუშაურის შინაგან სნეულებათა მთელს განყოფილებას. ექიმებს, მედ პერსონალსაც კი, ამდენი სითბოსთვის და ყურადღებისთვის. მადლობა უსაყვარლეს თიკო კუჭუხიძეს, რომელიც ადამიანობის ეტალონია. ბატონ კახა ვაჭრიძეს, რომელიც სიტყვითაც კურნავს ადამიანებს, თოდუას მთელ კოლექტივს, რომლებსაც მთელი გულით ვიყავი მინდობილი ეს დღეები.

მე დღეს ვიცი, რომ საქართველოში გაწირული არ ხარ, რომ ჩვენც გვყავს ნორმალური და ღირსეული ექიმები. მიუხედავად იმისა, რომ მეც გერმანიაში ვაპირებ მკურნალობას, ქართველი ექიმების უზომოდ მადლიერი ვარ. ვიცი, ბევრი კარგი ადამიანი შემხვდება ამ რთულ გზაზე, ბევრი გამომიწვდის სიკეთის ხელს და დამანახებს ღმერთს. მადლობა უფალს, რომ მომცა შანსი ბრძოლის, იმედის...

მადლობა ჩემს ოქროს დაიკოს, რომელმაც შეუძლებელი შეძლო და ჩემთან ერთად გადაიტანა ეს დღეები, რომელიც ჩემთან არის და სულ ჩემს გვერდით იქნება ვიცი.

მადლობა ყველას, ვინც მწერთ და გულწრფელად გაინტერესებთ ჩემი ამბები, ამისთვის მოვიკრიბე ძალა და შემოვედი აქ, რომ თქვენთვის მეთქვა – მე არაფრის მეშინია. ყველაფერი არის და იქნება კარგად.

მე დავწერ წიგნს – მე დავამარცხე კიბო! – ეს ჩანაწერი ანამ სოციალურ ქსელში გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოაქვეყნა.

**ტარიელ ხარხელაური, პოეტი:**

– ვუსამძიმრებ ყველას, ვინც იცნობდა და უყვარდა ეს საოცარი გოგო. მშვიდობით განისვენე ჩვენო ანა... ძალიან დააკლდები სამყაროს... შენი ტარიელ ხარხელაური.

**როინი აბუსელიძე, პოეტი:**

– ანა ლაშხელი... გამანადგურე შენ მე! ასე აღარ შეიძლება... ღმერთო დაგვეხმარე... ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიტყვები ძალას კარგავენ... ჯერ ის ამბავი არ დავიჯერე, რაც ანას თავს ხდებოდა და დღეს ეს რა გავიგე... წარმოუდგენელია... სიტყვებს თავს ვერ ვუყრი, გაშეშებული ვზივარ... ეს სტატუსიც რამდენიმე დღის წინ დადებული, როგორი ნამდვილი იყო, როგორი მართალი... სამწუხაროდ, აღარ არის ადამიანი, რომელმაც უამრავი პატარა ბავშვის კიბო დაამარცხა, უამრავ გაჭირვებულს დახმარების ხელი გაუწოდა, უამრავ უჭეროს თავშესაფარი გამოუნახა, მუდამ ქველმოქმედებაში იყო, მუდამ... ასწრებდა და ალბათ... 2 მცირეწოვანი შვილის დედა სხვის შვილებზე დარდობდა, რამდენჯერ ყოფილა, ბავშვთა სახლში გაეთენებინა ღამე. სრულიად უანგაროდ.... ესეთი ადამიანები არ კვდებიან, მაგრამ მე ვარ ახლა მკვდარი... ამაზე ტკივილიანი და ცივი არა მგონია იყოს სიკვდილი, რასაც ახლა განვიცდი, რასაც ახლა ვგრძნობ...

**მანუჩარ პირველი, ჟურნალ „მამულის“ რედაქტორ-გამომცემელი შეერთებულ შტატებში:**

– ადვილად შესამჩნევი გოგონა იყო, ყველასგან განსხვავებული. ხუთი წლის წინ, 2013-ში, ფეისბუკზე პატარა მოთხრობა დადო. მომეწონა. სახელ-გვარი არაფერს მეუბნებოდა. გულს მოვუსმინე და ვენდე, არ დამიწყია გადამოწმება, როგორც ვიცი ხოლმე, ახალგაზრდულ ასაკში პლაგიატის ცდუნება ყოველთვის მაღალია ხოლმე.

დავბეჭდე, ჯერაც უცნობი, სრულიად უცნობი ავტორი. მაშინ არც საკუთარ თავში იყო დარწმუნებული და არც წიგნები ჰქონდა გამოცემული. მინდოდა წამეხალისებინა. მივწერე კიდეც, „იცოდე, შენ უნდა წერო-მეთქი“. ტირილამდე გამიხარდაო, ჩემი კეთილი სანტა ხართო.

მერე კულისებიდან ვადევნებდი თვალს მის წარმატებებს, აი, ის მოთხრობა, „აკვანი“, მე რომ დავუბეჭდე, 5 წლის შემდეგ საქართველოშიც აღმოაჩინეს და სკოლის სახელმძღვანელო წიგნებში შეიტანეს. დამირეკა, სიტყვებს ვერ პოულობდა. ეს მოთხრობა თქვენ დააყენეთ გზაზეო. დავუცაცხანე, დამაჯერებლობა გაკლია-თქო.

ახლა გადავხედე ჩვენს ბოლო საუბარს, საუბრის ტექსტებს. საქართველოში ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის რამე მოვიფიქროთო. გუშინ, სულ 20-დღიან ჭიდილში დასრულდა მისი ბრძოლა ამ უკურნებელ სენთან.

ჩემთვის, მირზა გელოვანის, ლადო ასათიანის, გურამ რჩეულიშვილის, ვახტანგ ნადარეიშვილის, ლაშა გახარიას, ამ მარადი ახალგაზრდების გვერდით ყოველთვის იქნება კაფანდარა გოგონას – ანა ლაშხელი-ონიანის სახელი.

# კომპოზიტორმა ანა ქასრაშვილმა ესპანეთის კინომუსიკის საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა



ახალგაზრდა კომპოზიტორმა ანა ქასრაშვილმა ესპანეთის კინომუსიკის რიგით მეორე საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა. ინფორმაცია მისმა პროდიუსერმა ილია ჯღარკავამ გაავრცელა:

– ანამ გაიმარჯვა ესპანეთის კინომუსიკის საერთაშორისო კონკურსში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კონკურსანტები შემდეგი ქვეყნებიდან: გერმანია, არგენტინა, ავსტრია, ჩინეთი, ესპანეთი, აშშ, საფრანგეთი, საქართველო, ჰოლანდია, ირლანდია, ისრაელი, იტალია, მექსიკა, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი.

ფინალში გადავიდა 12 მონაწილე 5 ქვეყნიდან: ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, საქართველო. გაიმარჯვა საქართველომ! ანამ ამით, გარდა იმისა, რომ კიდევ ერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, მოიგო დიდი ფულადი ჯილდო – 50 000 ევრო.

15 ნოემბერს ქალაქ მურსიაში მოხდება დაჯილდოება და გამარჯვებული ნაწარმოები შესრულდება ცოცხლად.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის სამაგალითოა ანას შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა. ორსულობის რთულ პერიოდში ორი თვის განმავლობაში იჯდა და კონკურსის 15-წუთიანი ფილმის მუსიკაზე მუშაობდა. რა თქმა უნდა, მართასთან ერთად. ანას ფსევდონიმი იყო მართა ვებერი. ნამდვილად არ ველოდით გამარჯვებას. ჩვენთვის, ერთი მხრივ, ლოგიკური შედეგია, მეორე მხრივ კი, ღვთის დიდი წყალობა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

**კალეიდოსკოპი**

# ყოფილმა სილამაზის დედოფალმა მეუღლის მკვლელობა მოაწყო



ყოფილი სილამაზის დედოფალი აურეა ვასკეზ-რიხოსი საკუთარი მეუღლის მკვლელობის ორგანიზებაში დამნაშავედ ცნეს.

ვასკეზ-რიხოსი, რომელმაც თავის დროზე მის პუერტო-რიკოს სილამაზის კონკურსში გაიმარჯვა, 32 წლის კანადელ მილიონერ ადამ ანჰანგს 2005 წელს გაჰყვა ცოლად. თუმცა სულ რაღაც ექვსი თვის შემდეგ მათი ურთიერთობა საგრძნობლად გაუარესდა. ისინი გამუდმებით ჩხუბობდნენ ფულის გამო, მამაკაცი აცხადებდა, რომ მეუღლე უარს ეუბნებოდა იუდაიზმის მიღებაზე, ამის პასუხად კი ქალი მას ღალატში ადანაშაულებდა.

წყვილმა ოჯახის ფსიქოთერაპევტთან დაიწყო სიარული. მეხუთე სეანსის დროს ანჰანგმა მეუღლეს განქორწინება და იმ დრომდე მოცდა შესთავაზა, როდესაც ვასკეზ-რიხოსი იუდაიზმს მიიღებდა. ამის შემდეგ ისინი მეორედ დაქორწინებასა და ახალი, სხვა პირობებით საქორწინო შეთანხმების გაფორმებას შეძლებდნენ.

– შეგიძლია, ცადო, – უპასუხა ქალმა, – ჩემგან ასე ადვილად თავს ვერ დაიხსნი.

იმავე საღამოს მან ქმარი პუერტო-რიკოს უდიდესი ქალაქის, სან-ხუანის ცენტრში სადილად დაპატიჟა. როდესაც ისინი რესტორნიდან გამოვიდნენ, ანჰანგს თავს უცნობი პირი დაესხა. ის მის ცემას ვასკეზ-რიხოსის თვალწინ შეუდგა, შემდეგ კი დანა დაარტყა. კანადელი მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

პოლიციამ მკვლელი დააკავა. ის ალექს პაბონი, მეტსახელად ელ-ლოკო (შეშლილი) აღმოჩნდა, რომელსაც კარგად იცნობდნენ ადგილობრივ დანაშაულებრივ სამყაროში. დაპატიმრების შემდეგ მან აღიარა, მილიონერი ვასკეზ-რიხოსის თხოვნით მოკლა. ამისთვის ქალი მას სამ მილიონ დოლარს შეჰპირდა, რომელიც არ მიუღია.

საქორწინო შეთანხმების თანახმად, განქორწინების შემთხვევაში ქალი რვა მილიონ კანადურ დოლარს მიიღებდა. ანჰანგის ქონება სამჯერ მეტი იყო, ამიტომ ყოფილმა სილამაზის დედოფალმა მისი მოკვლა და მთელი ქონების ხელში ჩაგდება გადაწყვიტა.

2008 წელს ვასკეზ-რიხოსს, მის დასა და საყვარელს შეკვეთილი მკვლელობის ორგანიზების ბრალდება წაუყენეს. იმ დროისთვის ის პუერტო-რიკოდან გაიქცა და რამდენიმე წელი იტალიაში იმალებოდა. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მისი იტალიიდან გამოტყუება მოახერხა და ხუთი წლის შემდეგ მადრიდში დააპატიმრა.

ამრიგად, პოლიციის შეცდომებისა და დამნაშავის გაქცევის გამო საქმემ სასამართლომდე მისვლას 13 წელი მოანდომა. სავარაუდოდ, ვასკეზ-რიხოსს განაჩენს 2019 წლის 31 იანვარს გამოუტანენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6186

ევრო — 3.0117

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4152

100 რუსული რუბლი — 3.9227

## ამინდის პროგნოზი 9 ოქტომბრისთვის




# ემა სტოუნი პანიკურ აშლილობას ებრძვის



ამერიკელმა მსახიობმა ემა სტოუნმა პანიკურ აშლილობასთან საკუთარი ბრძოლის თაობაზე ერთ-ერთ ამერიკულ ტელეარხთან ინტერვიუში ისაუბრა.

მსახიობის თქმით, პანიკის პირველი შეტევა მაშინ დაემართა, როდესაც შვიდი წლის იყო. ის მეგობართან სტუმრად იმყოფებოდა და რაღაც მომენტში მოეჩვენა, რომ სახლს ცეცხლი მოეკიდა და რომ ყველანი დაიღუპებოდნენ.

– ეს იყო პანიკა, მაგრამ მაშინ, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი და ეს შემდგომი ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, – აღიარა სტოუნმა.

აღსანიშნავია, რომ მკურნალობამ შედეგი გამოიღო და მან აღნიშნული პრობლემა დაძლია, თუმცა დროდადრო პანიკური შეტევები ისევ ემართება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ედენ აზარი: „რეალში თამაში ჩემი ოცნებაა“



ჩელსის ლიდერმა ედენ აზარმა აღიარა, რომ რეალი მისი ოცნების გუნდია და იქ თამაშზე უარს არ იტყოდი. აზარის აზრით, რეალზე ძლიერი გუნდი მსოფლიოში არ არის.

– არ ვიტყვი ტყუილს, რომ რეალში თამაში ჩემი ოცნება არ არის. ჯერჯერობით ჩელსის ფეხბურთელი ვარ და მხოლოდ ამ გუნდზე ვფიქრობ, მაგრამ მომავალში რა მოხდება, არ ვიცი, – განაცხადა ედენ აზარმა.

რეალთან აზარის სახელს დიდი ხანია აკავშირებენ, მაგრამ ჯერჯერობით აზარი ჩელსიში რჩება. აღსანიშნავია ისიც, რომ წლევანდელი სეზონი ბელგიელმა ფეხბურთელმა ძალიან კარგად დაიწყო.

# ბარსელონასთან წაგების შემთხვევაში ლოპეტეგის რეალიდან გაუშვებენ



ბოლო პერიოდში რეალი ძალიან ცუდად გამოიყურება და სამეფო გუნდმა ზედიზედ 4 შეხვედრის მოგება ვერ შეძლო და აქედან სამჯერ დამარცხდა. გარდა ამისა, რეალი გოლის გატანასაც ვერ ახერხებს და კლუბმა ამ მხრივ თავისი ანტირეკორდი გაიმეორა. ამის შემდეგ უკვე აქტიურად მიდის საუბრები ლოპეტეგის რეალიდან წასვლაზე და ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თუ რეალი ბარსელონასთან დამარცხდა, მაშინ სამეფო გუნდი მწვრთნელის გარეშე დარჩება.

ბარსელონასთან მატჩი 28 ოქტომბერს, ნოუ კამპზე გაიმართება.

# ნეიმარი: „მბაპე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა“




კილიან მბაპემ ლიონთან შეხვედრის დროს 4 გოლის გატანა შეძლო და ეს 15 წუთში გააკეთა. ბუნებრივია, ამ თამაშის შემდეგ მთელი საფეხბურთო სამყარო მბაპეს აქებდა და გამონაკლისი არც ნეიმარი გახდა.

ნეიმარის თქმით, მბაპეს შეუძლია მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს:

– მე ვუყურებ მის თამაშს და შემიძლია ვთქვა, რომ ის უკვე ერთ-ერთი საუკეთესოა და მას კიდევ შეუძლია მოუმატოს. მბაპეს უდიდესი მომავალი აქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ლექციაზე დაბოლილი პროფესორი ელექტრომაგნიტურ ტალღებს გვიჩვენებდა...

– მერე?

– მერე უმრავლესობამ დავინახეთ...

•••

ავტობუსში ორი გოგონა ზის და საუბრობს. ერთ-ერთ გაჩერებაზე ახალგაზრდა მამაკაცი ამოვა, მათ გვერდით დადგება და ამბობს:

– როგორი სიმპათიური გოგონები არიან.

– ჰო, შენ რომ იტყვი... – უპასუხა ერთ-ერთმა გოგონამ ამრეზით.

– კარგი, კარგი, ვიხუმრე...

•••

მამაკაცი მაღაზიაში გამყიდველს ეუბნება:

– ერთი ბოთლი არაყი.

– არის, კიდევ?

– კანფეტები, ერთი ბოთლი ღვინო.

– ასე, კიდევ რას ინებებთ?

– ეეე... ჰო... პრეზერვატივი.

– პრეზერვატივი არ გვაქვს.

– მაშინ არც დანარჩენები მჭირდება.

•••

ავტობუსში გოგონა ამოვიდა და სულის მოთქმის შემდეგ ამბობს:

– კიდევ კარგი მოვუსწარი, თორემ ისე მოვრბოდი, რომ კინაღამ ფეხები დავიმტვრიე.

ნასვამი ახალგაზრდა მიუბრუნდა, საფუძვლიანად თავით ფეხებამდე შეათვალიერა და მერე ეუბნება:

– მოტეხვით არ მოგიტეხიათ, მაგრამ მაგრად კი გაგიღუნიათ...

•••

სახლში დაბრუნებულ თვალჩალურჯებულ შვილს დედა ეუბნება:

– შვილო, ხომ გითხარი, რომ უფრო გონივრულად უნდა მოიქცე და სანამ ჩხუბში ჩაერევი, ასამდე უნდა დაითვალო.

– სანამ მე სულელი, როგორ შენ მითხარი, ასამდე ვითვლიდი, გიგიმ თვალში მთხლიშა, დედამ მას ორმოცდაათამდე დათვლა დაავალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


# ჯონ ტერიმ საფეხბურთო კარიერა დაასრულა



ლეგენდარულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა ჯონ ტერიმ კარიერა დაასრულა. ამის შესახებ მან თავისი ინსტაგრამის გვერდზე დაწერა.

ტერის ბოლოს გუნდი ასტონ ვილა იყო, მანამდე კი ტერიმ თითქმის მთელი თავისი კარიერა ლონდონის ჩელსის მიუძღვნა, სადაც ის 3-ჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ხოლო 2012 წელს ჩემპიონთა ლიგაც მოიგო.

ამ ზაფხულში იყო საუბრები იმის შესახებ, რომ ტერი შესაძლოა მოსკოვის სპარტაკში გადასულიყო, მაგრამ საბოლოოდ თვითონ ფეხბურთელმა რუსეთში თამაშზე უარი თქვა. დეკემბერში ტერი 38 წლის გახდება.

# იურგენ კლოპი: „ერთა ლიგა უაზრო ტურნირია“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ერთა ლიგაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს ტურნირი უაზროა.

კლოპის აზრით, ფეხბურთელები ზედმეტად ბევრ შეხვედრას ატარებენ და მათ ფიზიკურ ფორმაზე ეს ცუდად მოქმედებს, მაგრამ ფიფას ეს ნაკლებად ადარდებს. კლოპის თქმით, ფეხბურთელებს მეტად უნდა გაუფრთხილდნენ.

– ჩემი მოთამაშეები ორი კვირით სხვადასხვა ნაკრებებში წავლენ და უნდა ვილოცო, რომ მათ ტრავმა არ მიიღონ. ერთა ლიგის არსებობის მიზანი არ მესმის. მინდა, რომ ფიფა ფეხბურთელებზე უფრო მეტად ზრუნავდეს, მაგრამ ეს ასე არ არის, – განაცხადა კლოპმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 2. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ფასიანი ქაღალდების გასაყიდ და საყიდ ფასებს შორის სხვაობა; 5. აფრიკული ანტილოპა; 6. მუსლიმანთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვანი მცენარეების საერთო სახელწოდება; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 13. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 14. ხორცის ნახარში; 15. ხელოვნური წყალსაცავი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში; 19. ცხვრის, ხბოს ტყავისაგან დამზადებული ღვინის შესანახი ჭურჭელი.

**თარაზულად:** 1. ბეჰემოტის მეორე სახელწოდება; 4. რადიოს ერთ-ერთი გამომგონებელი იტალიელი მეცნიერი; 7. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 9. მეთოთხმეტე საუკუნის საფრანგეთის გლეხთა აჯანყების სახელწოდება; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 17. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში; 18. პროფესიონალი დამსმენის, ჯაშუშის სახელწოდება ძველ საბერძნეთში; 20. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 21. დაბალი ხარისხის თამბაქო; 22. შვედი ასტროფიზიკოსი ტემპერატურის შკალას გამომგონებელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა